გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 ოქტომბერი, 2005 წელი.

№244 (5277)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

## თქვენ ხართ ჩვენი, ჩვენი სუპერქალი!



გივი შეყილაძის ფოტო.

### მართლა მიდიან ქაჯები?

**მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან განთავისუფლებულმა სალომე ზურაბიშვილმა თავის მხარდამჭერებს „რუსთავი 2“-ის ეთერით იპოდრომზე შეხვედრა დაუთქვა, საეჭვო არ იყო, რომ გაღიზიანებული მოსახლეობა იქ მართლაც ჭარბად მივიდოდა.**

თუმცა იმან, რაც 20 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე ხდებოდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მოულოდნელობისგან გაოცება პრესისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად, მკაფიოდ შეეტყო თავად სალომე ზურაბიშვილსაც, როდესაც იპოდრომზე მხარდამჭერთა დაახლოებით 20-ათასიანი არმია იხილა.

უნდა ვთქვა ერთიც: — ჟურნალისტებს საკმაოდ დიდი ჯაფა დაგვადგა, რათა ჭყლეტაში არ მოვყოლილიყავით.

შეკრებილი ხალხი სალომე ზურაბიშვილს იპოდრომზე შემოსვლისთანავე შემოეხვია. თითოეული მათგანი ცდილობდა ექსმინისტრისთვის უშუალოდ დაედასტურებინა თავისი პატივისცემა.

სალომე ზურაბიშვილს ყვავილების თაიგული და წერილების საკმაოდ სქელი დასტაც მიართვეს.

იხ. მე-2 გვ.

## ჩვენი ცხოვრების პირველი წიგნი



**მსოფლიოში** უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც არსებობენ „გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები“, რომელთაგან პირველი ინგლისში შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ 1917 წელს რევოლუციამდელ საქართველოშიც არსებობდა ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენლობა, რომელიც თბილისში გოლოვინის №35-ში მდებარეობდა. მათ ჰქონდათ წიგნის მაღაზია და საწყობი, რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა გააუქმეს, ხოლო საზოგადოების წევრები საქართველოდან გააძევეს...

იხ. მე-6 გვ.

## დავით გამყრელიძე: „სალომე ზურაბიშვილი კრემლს მსხვერპლად შესწირეს“



**მემარჯვენე** ოპოზიცია კვლავაც ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობს და გონივრულ გამოსავლად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მიიჩნევს.

იხ. მე-2 გვ.

## ვუახლოვდებით ჩვენს ზღვას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ასე შორია...



„**კონფლიქტის** გადაწყვეტის ერთადერთ გზად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაა და არა აშშ-ის ან ნებისმიერი ევროკავშირებისა თუ, ეგრეთ წოდებული, მეგობარი ქვეყნების იმედად ყოფნა. აქსიომაა, რომ რუსეთის ინტერესების საზიანოდ და საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ არც ერთი ქვეყანა არ გადადგამს სერიოზულ ნაბიჯს“.

იხ. მე-3 გვ.

## ევროკავშირი მოვლენათა უარესი განვითარებისთვის ემზადება

**ევროკავშირის** წევრი-ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროთა წარმომადგენლები გამართავენ მორიგ შეხვედრას, რომელზეც განიხილავენ, თუ როგორ აიცილონ თავიდან ევროპაში ფრინველის გრიპის გავრცელება, და რა გააკეთონ იმ მიზნით, თუ დაავადება ადამიანებს გადაედება ფრინველებისგან.

იხ. მე-5 გვ.

## რა არის საჭირო ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტის მისაღებად?



**გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა ხელს შეუწყობს შავი ზღვისპირა რეგიონების ფერმერებს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბებაში**

იხ. მე-3 გვ.

**ამჟამად** საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ანალიზი ხორციელდება მხოლოდ წელიწადში ერთხელ, გასული ორი წლის მონაცემებით, ნიტრიტების შემცველობა 1,5-3-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცეფციას.

### ⦿ პანორამა

„**ვილმა**“ უახლოვდება კარიბის ზღვის ქვეყნების სანაპიროებს, რის გამოც, კუბისა და ფლორიდის ხელისუფლებები ემზადებიან მოსახლეობის ევაკუაციისთვის. მართალია, ქარის სიჩქარემ იკლო და იგი ახლა საათში მხოლოდ 250 კილომეტრს შეადგენს, მაგრამ სინოპტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ქარიშხალმა კვლავ მოიკრიბოს ძალები. კუბის ხელისუფლება აპირებს ქვეყნის ოთხი სამხრეთი პროვინციის მცხოვრებთა ევაკუაციას. ასეთივე გეგმები აქვთ დასახული ჰონდურასსა და ფლორიდის შტატის სამხრეთ ნაწილში.

* * *

**იაპონიაში** დააპატიმრეს „ტოშიბას“ ერთ-ერთი შვილეული კომპანიის თანამშრომელი, რომელიც ეწეოდა ჯაშუშობას რუსეთის სასარგებლოდ. იგი რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელს გადასცემდა საიდუმლო დოკუმენტებს ორმაგი დანიშნულების ელექტრონული ხელსაწყოების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სამხედრო სფეროში. ამ ხელსაწყოებით არიან აღჭურვილი წყალქვეშა ნავები, რაკეტების დამიზნების სისტემები, ავიაგამანადგურებელთა რადარები და სხვა აპარატები.

* * *

**ბერეზოვსკი** სასამართლოში უჩივლებს ლატვიელ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებმაც მას არ დართეს ქვეყანაში შესვლის ნება. „მე არ მიცდია და არც ვეცდები გავარკვიო ლატვიის ხელმძღვანელობის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული მოტივი, მაგრამ აღვძრავ სარჩელს ლატვიის სასამართლოში... კანონმდებლობა იძლევა ასეთი სარჩელის აღძვრის უფლებას“, — განაცხადა მეწარმემ და დასძინა: „ლატვიაში მალე შეიგნებენ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებით შეცდომა დაუშვეს“.

### ⦿ ინფორმაცია

#### მიხეილ სააკაშვილი ახალ დეპუტატებს შეხვდა

**საქართველოს** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ დეპუტატებს შეხვდა.

პირველ ოქტომბერს გამართულ არჩევნებში, ხუთივე საარჩევნო ოლქში — ბათუმში, ქობულეთში, შუახევში, ტყიბულსა და ისანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა ჯემალ ინაიშვილმა, კობა ხაბაზმა, ელგუჯა მაკარაძემ, პავლე კუბლაშვილმა და ბიძინა ბრეგაძემ გაიმარჯვეს.

შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როგორც მათ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და პრეზიდენტმა დეპუტატებს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

#### ნინო ბურჯანაძე სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენებას მიესალმა

**უკრაინაში** ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მიესალმება და აცხადებს, რომ მისთვის უკვე ყოფილი მინისტრის ტელევიზიით გამოსვლის ტონი კატეგორიულად მიუღებელი იყო.

ეს განცხადება ბურჯანაძემ კიევში ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. მისი თქმით, ზურაბიშვილმა ვერ გაამართლა ის იმედები, რის გამოც იგი ამ თანამდებობაზე დაინიშნა და საქართველომ ვერ გამოიყენა არსებული შესაძლებლობები.

პარლამენტის თავმჯდომარეს გუშინ საღამოს უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო და პრემიერი იური ეხანუროვი შეხვდნენ. მანამდე კი შეხვედრა უმაღლესი რადას სპიკერთან გამართა.

#### სასწავლო კურსს 30 ქართველი ექიმი გაივლის

**პალიატიური** მზრუნველობის განვითარების ხელშეწყობის სასწავლო კურსს 21-დან 30 ოქტომბრამდე 30 ქართველი ექიმი გაივლის.

ამ მიზნით, დღეს საქართველოს სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში, პალიატიური მზრუნველობის განვითარების ხელშეწყობის სასწავლო კურსის პრეზენტაცია გაიმართება.

სასწავლო კურსი, პალიატიური მზრუნველობის საერთაშორისო ექსპერტი ფრანკ ფერისი და მისი კოლეგები წარუძღვებიან. კურსი აკრედიტებულია და მონაწილეს 20 კრედიტ-ქულა ენიჭება.

პრეზენტაციას ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და სან დიეგოს ექსპერტები დაესწრებიან.

#### ოქტომბრიდან პედაგოგებს ხელფასი გაეზრდებათ

**ზოგადსაგანმანათლებლო** სკოლების მასწავლებლები ოქტომბრის თვეში გაზრდილ ხელფასს მიიღებენ. ეს განცხადება გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ პარლამენტის განათლების კომიტეტის სხდომაზე 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას გააკეთა.

მინისტრის განცხადებით, პედაგოგები გაზრდილ ხელფასს სახელმწიფოს მიერ მოსწავლეებისთვის დარიგებული ვაუჩერების დახმარებით მიიღებენ. მისივე თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს 1 იანვრიდან თანხები უკვე საკუთარ საბანკო ანგარიშებზე დაუჯდებათ.

ლომაიას ინფორმაციით, მასწავლებლების ხელფასი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება და სადამრიგებლო დანამატის, სტაჟის, განათლების ცენზის, კლასის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება. მისივე თქმით, სამინისტრო მუშაობს, რათა კლასებში ბავშვთა რაოდენობა შემცირდეს.

ინტერპრესნიუსი

### ⦿ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## კავკასია: ჩეჩნეთის შემდეგ საქართველო იქნება?



ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველო-რუსეთის ურთიერთობა სტაბილურად მიექანება კონფრონტაციის უფსკრულისკენ. თუ ქართულ საზოგადოებაში ეს პროცესი პირველ ხანებში ძალზე მტკივნეულად აღიქვეს, სადღეისოდ მრავალი ქართველის თვალში რუსეთი უკვე მეგობარი ქვეყანა აღარ არის. და იმისთვის, რომ რუსეთი აქციოს მტრად, საქართველოს პოლიტიკური ელიტა სულ უფრო მეტ ძალისხმევას იღებს, ამ მიზნით არ იშურებს არც სახსრებს, არც პროვოკაციულ რიტორიკას.

იხ. მე-7 გვ.

აქცია

# თქვენ ხართ ჩვენი, ჩვენი სუპერქალი!

## მართლა მიდიან ქაჯები?

(პირველი გვერდიდან)

ხალხი „სალომე, სალომესაც“ სკანდირებდა და ტრანსპარანტსაც აფრიალებდა, რომელზეც ეწერა: „ქალბატონო სალომე, მადლობა და ბოდიში“.

იპოდრომზე უხვად მყოფმა პრესის წარმომადგენლებმა სალომე ზურაბიშვილის კომენტარის მიღება უმალვე ვცადეთ, მაგრამ მან ამისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ერთადერთი ფრაზა გვითხრა: „ეს არ არის პოლიტიკური აქცია“.

სამაგიეროდ, კომენტარი არ დაიშურეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომელთაგანაც ყველას კონსერვატიული პარტიის წევრები ჭარბობდნენ.

— ეს არის ჩვენი ხელისუფლების მიერ გადადგმული კიდევ ერთი სამარცხვინო ნაბიჯი. ჩვენი მთავრობა სულაც არ არის განებივრებული ზურაბიშვილის დარი პროფესიონალი და სუფთა მინისტრებით.

ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთადერთი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც რუსეთს რუსულად არ დაელაპარაკა, მინისტრი, რომელმაც ლომის წილი დაიდო რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანაში, — ეს კობა დავითაშვილის სიტყვებია.

დავითაშვილს ვკითხე, რამდენად იყო მისთვის მისაღები საგარეო საქმეთა მინისტრად უკვე დანიშნული, ყოფილი უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი.

— ასეთ პოლიტიკოსს და დიპლომატს მე არ ვიცნობ, — იყო კონსერვატორთა ლიდერის პასუხი.

კობა დავითაშვილისგან განსხვავებით საკმაოდ კარგად „სცნობია“ ახალი მინისტრი მეორე კონსერვატორს, კახა კუკავას:

— გელა ბეჟუაშვილი არის იდეალური საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც შეეფერება ამ ხელისუფლებას. მას არ „ამძიმებს“ არც ევროპული განათლება და არც პატიოსნება. ბეჟუაშვილს შეუძლია მთლიანად შეცვალოს ქვეყნის საგარეო კურსი და იგი რუსეთისკენ მიმართოს. დღეს სწორედ ის დრო დადგა, როცა საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს კომუნისტური გადმონაშთებისა და კორუფციული კლანებისაგან. არ გამოვრიცხავ, რომ სალომე ზურაბიშვილი სათავეში ჩაუდგეს დიდ ოპოზიციურ გაერთიანებას, თქვა მან.

გარდა კონსერვატორებისა იპოდრომზე მრავლად იყვნენ არასაპარლამენტო ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები: „ედპ“, „წინ საქართველო“ და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მათგანი ინიციატივის ხელში აღებასა და შეკრებილი ხალხის თვალში აქტიური პოზიციის წარმოჩენას ლამობდა.

თუმცა ოპოზიციის ცნობილ სახეთა ფაცი-ფუცს ცივი წყალი თავად ხალხმა გადაასხა:

— ჩვენ აქ მოვედით მხოლოდ და მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად და არც ერთი სხვა ოპოზიციური ძალისა!

იპოდრომზე სიტყვით გამომსვლელებს არც მიკროფონი და არც მეგაფონი არ აღმოაჩნდათ, ამიტომაც მათი ხმა იქ მრავლად შეკრებილ ხალხს სრულებით არ ესმოდა.

ამიტომაც იყო დიდი გაწევ-გამოწევა იმ შემაღლებულთან მოსახვედრად, საიდანაც ზურაბიშვილი და სხვა ოპოზიციონერები ხალხს გადმოჰყურებდნენ.

სამაგიეროდ, მათთვის ერთი რამ იყო გასაგები: ათეულობით ათასი მხარდამჭერის შემყურე სალომე ზურაბიშვილი კმაყოფილებას ნამდვილად ვერ ფარავდა.

შეხვედრამ იპოდრომზე საათნახევარზე მეტ ხანს გასტანა და უკვე ბოლოს ხალხს თავისი სიტყვა ამ თავშეყრის მთავარმა გმირმა სალომე ზურაბიშვილმაც უთხრა:

— დიდ მადლობას გიხდით ყველას. თუმცა შემიძლია მადლობა არც გადაგიხადოთ, რადგან თქვენ აქ მოხვედით არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის, თქვენი შვილებისთვის, თქვენი ქვეყნისთვის, თქვენი მომავლისთვის. მე ვაპირებ თქვენთან ერთად ცხოვრებას, ბრძოლას და მუშაობას. ვიწყებ პოლიტიკურ მოღვაწეობას. ყველამ უნდა დაინახოს, რომ საქართველოში ქაჯები კი არ მოდიან, არამედ მიდიან.

სალომე ზურაბიშვილის ამ სიტყვებმა მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა, რის შემდეგაც ქალბატონი სალომე და მისი ოციათასამდე მხარდამჭერი იპოდრომის გასასვლელისკენ დაიძრა.

შეკრებილი საზოგადოება შეხვედრით ერთობ კმაყოფილი იყო, ისინი აქციისთვის „პერმანენტული“ ხასიათის მიცემას ითხოვდნენ.

„ქალბატონო სალომე, ჩვენ გვიყვარხარ და თქვენი იმედი გვაქვს“, — ასე გააცილა მხარდამჭერთა ურიცხვმა ამქარმა ექს-მინისტრი იპოდრომიდან.

დაბოლოს, იპოდრომზე ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის მისვლას, ალბათ, არც არავინ ელოდა. და მართლაც მთავრობიდან თუ უმრავლესობიდან იქ ფეხი არავის მიუდგამს.

თუმცა იმხელა იპოდრომზე მათი კი არა, ნემსის ჩასაგდები ადგილიც არ იყო.

**ჯაბა ხუბუა**



კომენტარი

# იგი საწინააღმდეგო პოზიციას გამოხატავდა

## აცხადებს პარლამენტარი ლალი ფაფიაშვილი

**პარლამენტარს, უმრავლესობის წევრს ლალი ფაფიაშვილს მიზანშეუწონლად მიაჩნია საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება.**

„სამწუხარო რეალობაა, რომ ბოლო სატელევიზიო განცხადებამდე ქალბატონ სალომეზე ბევრად უკეთესი წარმოდგენა მქონდა: მიკვირს, მოსახლეობა სხვაგვარად რატომ აფასებს მის პიროვნებას.

როდესაც ადამიანი დიდ პოლიტიკაზე აცხადებს პრეტენზიას და თავს დახვეწილ დიპლომატად მიიჩნევს, მისგან ისეთი გამონათქვამები არ უნდა გვესმოდეს, როგორიც ტელევიზიით გახმიანდა“.

ლალი ფაფიაშვილს უკვირს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია, რომელიც იმ სატელევიზიო გამოსვლამდე ნორმალურად და შესაძლებლად მიიჩნევდა პარლამენტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, არც საკუთარი ნებით აპირებდა თანამდებობიდან წასვლას. „თუმცა, როგორც კი დაინახა საშიშროება, რომ რეალური გადაწყვეტილება მიიღეს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, მისთვის ერთ წუთში ყველა და ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. ეს ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია“.

პარლამენტარის თქმით, თუ ის ხალხი, ვისთანაც აქამდე მუშაობდა, ქაჯები იყვნენ, ამაზე მას დიპლომატიური კარიერიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრად ადრე უნდა სცოდნოდა.

ლალი ფაფიაშვილი ფიქრობს, რომ სალომე ზურაბიშვილისთვის პარლამენტის „ბუნტი“ მოულოდნელი არ ყოფილა, მის მიმართ „ეკლიანი“ განცხადებები ბევრად ადრეც კეთდებოდა. ქალბატონი სალომე არადიპლომატიურად და არაპროფესიულად, ადამიანური თვალსაზრისითაც მიუღებლად ათავისუფლებდა ელჩებს. გამოწვეული ელჩები ამის შესახებ მხოლოდ ტელევიზიით იგებდნენ.

პარლამენტარი საგარეო საქმეთა ექს-მინისტრს საგარეო პოლიტიკის არათანამიმდევრულ განხორციელებაში, აგრეთვე პარლამენტისადმი საკმაოდ გაურკვეველ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს: „პარლამენტარები, ფაქტობრივად, მისი მეოხებით, სერიოზულ საინფორმაციო ვაკუუმში უნდა აღმოვჩენილიყავით. ჩვენ არ უნდა გვქონოდა საგარეო სამინისტროდან ინფორმაციების მიღების შესაძლებლობა“.

ლალი ფაფიაშვილის თქმით, როცა საკანონმდებლო და სამთავრობო დელეგაციები საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ და ყველას ერთიანი გუნდური პოზიცია უნდა ჰქონოდა, ძალზე ხშირად საგარეო საქმეთა სამინისტრო იმის საწინააღმდეგო პოზიციას გამოხატავდა, რაც პრეზიდენტს თუ საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდა“.

პოზიცია-ოპოზიციას შორის უთანხმოება ქვეყნის გარეთ გასატანი არ არის. პარლამენტარის თქმით, ეს იყო ცუდი კოორდინაციის ბრალი, თუმცა დარწმუნებულია, რომ ყოველივე ამას უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „აფხაზეთი“ მხარს უჭერს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს

**საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფმა „აფხაზეთმა“ მხარი დაუჭირა საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, რომლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება 19 ოქტომბერს გამოაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა დაპირისპირებამ, რომელიც არსებობს ზურაბიშვილსა და ქვეყნის მმართველი პარტიის „ერთიანი ეროვნული მოძრაობის“ მთელ რიგ წარმომადგენლებს შორის. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფის „აფხაზეთის“ წევრების აზრით, ასეთი კონფლიქტი არის იმის მიზეზი, რომ ქალბატონი ზურაბიშვილი ცდილობს ბოლო მოუღოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში კორუფციას და არაკომპეტენტურობას“.**

„რადგან ჩვენი უმრავლესობა საზღვარგარეთ ცხოვრობს და გვაქვს შესაძლებლობა, რეგულარული ურთიერთობა ვიქონიოთ სხვადასხვა ქვეყნებში მდებარე საქართველოს საელჩოებთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთადერთი გრძნობა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, არის სირცხვილი ჩვენი დიპლომატიური მისიების თანამშრომლების არაკომპეტენტურობისა და უპასუხისმგებლობის გამო, — აღნიშნავენ საინიციატივო ჯგუფის წევრები. — საქართველოს პრაქტიკულად ყველა საელჩოში ყვავის კორუფცია. ამავე დროს კი პარლამენტარები საგარეო საქმეთა მინისტრს საყვედურობენ საელჩოთა ცუდი მუშაობის გამო, თუმცა, მინისტრს არა აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად დანიშნოს ან გამოიხმოს ელჩები. ამ სკანდალის აგორებაში, ჩვენი აზრით, საკმაო როლი შეასრულეს პარლამენტარების და მათ შორის, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის, ქალბატონ ბურჯანაძის პირადმა ამბიციებმა“.

„ჩვენ დიდ შეფასებას ვაძლევთ ქალბატონ ზურაბიშვილის მოღვაწეობას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, — აღნიშნულია საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფის „აფხაზეთის“ მიმართვაში. — თავის დროზე მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე ჩვენთვის გახდა იმის სიგნალი, რომ „ვარდების რევოლუცია“ ნამდვილად მოიტანდა დადებით გარდაქმნებს ჩვენს სამშობლოში. ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს. მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში, პარლამენტის მთელი რიგი დეპუტატების საქმიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს და არის პირადი ანგარიშსწორების მცდელობა“.

ამავე დროს, ჯგუფმა მიმართვა გაუგზავნა საქართველოს ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრსაც, რომელშიც გამოთქმულია მის მიმართ მხარდაჭერა. „თქვენ მიგიჩნევთ ნამდვილ პროფესიონალად, რომელიც ყველაფერს აკეთებს საქართველოს საკეთილდღეოდ, — ხაზგასმულია მიმართვაში. — ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ მრავალ ქვეყანაში საქართველოს საელჩოების საქმიანობა ვერ აკმაყოფილებს საჭირო სტანდარტებს. ვფიქრობთ, რომ სწორედ თქვენმა მცდელობამ, დაგემყარებინათ წესრიგი ამ სფეროში, გამოიწვია კიდეც კონფლიქტი, რომლის უკანაც, შესაძლოა, დგანან საქართველოს საელჩოების საქმიანობასთან დაკავშირებული და კორუფციაში გარეული ადამიანები“. მიმართვის ავტორები აღნიშნავენ, რომ „საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა“ მხარს უჭერს ქალბატონ ზურაბიშვილს პარლამენტის წარმომადგენლებთან მის კონფლიქტში.

საერთაშორისო საინიციატივო ჯგუფი „აფხაზეთი“ აერთიანებს საქართველოში, რუსეთში, ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ორი ათასამდე აქტივისტს. ჯგუფის წევრები არიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები (როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეები), რომლებიც ერთგულობენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის, მოდერნიზაციისა და წარმატებული განვითარების იდეებს.

**რეგნუმ საინფორმაციო სააგენტო, 20 ოქტომბერი.**

ინფორმაცია

## ზურაბ ნოღაიდელი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა

**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ დილით სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ზურაბ ნოღაიდელი ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში პირველად იმყოფება.

21 ოქტომბერს, ნოღაიდელი ვაშინგტონს ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრები და მოლაპარაკებები ამერიკის ენერგეტიკის მინისტრ სემუელ ბოდმანთან, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯეიმს ვულფენსონთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორ ტაკატოში კატოსთან. ძირითადი თემა საქართველოში მიმდინარე რეფორმები და საერთაშორისო საფინანსო ცენტრების შემდგომი მხარდაჭერა იქნება, განსაკუთრებით ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის სფეროებში.

ზურაბ ნოღაიდელი მიწვეულია „ათასწლეულის გამოწვევის“ კორპორაციაში, რომელმაც, ახლახან საქართველოს მხარდასაჭერად 300 მილიონი დოლარი გამოყო.

გაიმართება მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან, რომელმაც თავად გამოთქვა სურვილი, შეხვედროდა საქართველოს პრემიერს. გარდა ამისა, ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს სენატორებმა ჯონ მაკკეინმა, რიჩარდ ლუგარმა, რობერტ ბენეტმა, ჰარი რეიდმა, ჩაკ ჰეიგელმა და მრავალმა კონგრესმენმა.

პროგრამით გათვალისწინებულია ზურაბ ნოღაიდელის სიტყვით გამოსვლა „მეტროპოლიტან ქლაბში“, „ბრუკინგის ინსტიტუტსა“ და საერთაშორისო სწავლებათა ინსტიტუტში (ზბიგნევ ბჟეზინსკის ცენტრში).

ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 26 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროპაში გაემგზავრება.

## „საქართველოს რკინიგზას“ ირაკლი ეზუგბაია უხელმძღვანელებს

„საქართველოს რკინიგზას“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, მას ამიერიდან ირაკლი ეზუგბაია უხელმძღვანელებს.

„საქართველოს რკინიგზის“ ახალი გენერალური დირექტორი თანამშრომლებს გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ წარუდგინა.

როგორც ჩოგოვაძემ აღნიშნა, ირაკლი ეზუგბაია მუშაობდა როგორც კერძო კომპანიებში, ასევე პრემიერის აპარატში, სადაც ტრანსპორტის სექტორს კურირებდა. „იგი ღირსეულად გაუძღვება ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, რომელიც ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენს“, — აღნიშნა ჩოგოვაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

ოპოზიცია

# დავით გამყრელიძე: „სალომე ზურაბიშვილი კრემლს მსხვერპლად შესწირეს“

**საქართველოში ნეობოლშევიზმი დამყარდა, — აცხადებს ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე, რომელმაც ბოლო დღეების მოვლენებთან დაკავშირებით გუშინ განცხადება გაავრცელა.**

„როგორც იცით, საგარეო საქმეთა მინისტრის გასათავისუფლებლად წამოწყებულ კამპანიაში როლები უჩვეულოდ განაწილდა — საპარლამენტო უმრავლესობა ზურაბიშვილისთვის ვერდიქტის გამოტანას ჩქარობდა, ოპოზიცია კი მას იცავდა. მართალია, ცოტა ხნით წინათ უმრავლესობის წევრები უაღრესად დადებითად აფასებდნენ სალომე ზურაბიშვილის მოღვაწეობას, მაგრამ როცა საქმეს დასჭირდა, სხვაგვარად ალაპარაკდნენ. მისი მოხსნით ხელისუფლებამ ოპოზიციას კიდევ ერთი ცნობილი სახე შემატა. დავით გამყრელიძის აზრით, ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ თავის ერთადერთ პოზიტივს — დასავლურ ორიენტაციას და რუსეთთან მიმართებაში პრინციპულ პოზიციას დაუსვა წერტილი. მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ზურაბიშვილის მოხსნა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას უკავშირდება. „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბოლო დღეებში საქართველოში განვითარებული მოვლენები დაიგეგმა და იმართებოდა მოსკოვთან შეთანხმებით. დღეს საქართველოში საგარეო კურსი დასავლეთიდან ჩრდილოეთისკენ შეიცვალა. კურსის ამ ცვლილებას ხელს უშლიდა სალომე ზურაბიშვილის ფიგურა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე და პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის გარემოცვასთან ერთად მსხვერპლად შესწირა იგი კრემლს“.

ეს იყო ამონარიდი დავით გამყრელიძის განცხადებიდან. მემარჯვენეთა ლიდერი სალომე ზურაბიშვილს მხარდაჭერას ჰპირდება დემოკრატიისთვის ბრძოლაში.

„საქართველოში დიქტატურა არ უნდა დამყარდეს — საქართველო რუსულ ორბიტაზე აღარ უნდა დაბრუნდეს!“ — ასეთია პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარის განცხადების პათოსი.

მემარჯვენე ოპოზიცია კვლავაც ღრმა პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობს და გონივრულ გამოსავლად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მიიჩნევს.

სალომე ზურაბიშვილისადმი გამოცხადებული სოლიდარობის მიუხედავად, გუშინ მემარჯვენეები მის მხარდამჭერებს არ შეერთებიან იპოდრომზე. რადგან ეს პოლიტიკური აქცია არ ყოფილა. რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრად გელა ბეჟუაშვილის დანიშვნას, გამყრელიძის თქმით, ეს სწორედ საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას უკავშირდება.

— როცა ბეჟუაშვილი თავდაცვის მინისტრი იყო, აცხადებდა, რუსული ბაზების გაყვანა საქართველოსთვის პრიორიტეტული არ არისო, — იხსენებს დავით გამყრელიძე.

მედიისთვის საინტერესო კითხვაზე — შესაძლებელია თუ არა, სალომე ზურაბიშვილი სათავეში ჩაუდგეს გაერთიანებულ ოპოზიციას — პასუხის გაცემისგან დავით გამყრელიძემ თავი შეიკავა. მისი თქმით, მისასალმებელია ქალბატონი სალომეს გადაწყვეტილება, დარჩეს ქართულ პოლიტიკაში, თუმცა, პროგნოზები ჯერ ნაადრევია. კონსერვატორები კი არ გამორიცხავენ იმას, რომ შეიძლება ზურაბიშვილი გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გახდეს.

**რუსუდან გახარია**

დღის შეკითხვა

# რას ფიქრობთ სალომე ზურაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე?

**ბატონ პრეზიდენტის კადრი, ქალი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკურ რინგზე დაამარცხეს, თუმცა არა ნოკაუტით. ეს ცხადყო გუშინ იპოდრომზე შეკრებილმა ხალხმაც, ასეთია ძირითადად საზოგადოებრიობის აზრი.**

**ლიანა სამნიაშვილი, ბიბლიოთეკარი:** — როცა მიხეილ სააკაშვილი გაპრეზიდენტდა, თქვა, ხელისუფლებაში ბევრი ქალი უნდა იყოსო. მგონი პრემიერ-მინისტრიც კი მანდილოსანი უნდოდა. არადა, მინისტრად იყო ქალი ლებანიძე, გაუშვეს, ჰყავდათ მინისტრად ქალი — ზურაბიშვილი, ისიც გაუშვეს. რა, სხვებს არაფერი ეშლებათ? გილაური ლეგენდებს გვითხზავს, მაგრამ არ ერჩიან. ისეთი რა დააშავეს ბანოვანებმა? სალომე ზურაბიშვილის წასვლა ქალური შურისძიებაა და მეტი არაფერი. ყველამ იცის, რომელი ქალიც წაეკიდა მას, კაცებმა კი ვერ უშველეს.

**ცაცა ტაბატაძე, სტუდენტი:** — დასაშვებია, რომ უკვე აღარ უნდათ ზურაბიშვილი. ეს ადამიანი ნაკლებად დამოკიდებულია ვინმეზე. მას სიმართლის თქმა სურდა, და მთელ პარლამენტს აუმხედრდა კიდეც. ისიც უნდა ითქვას, რომ ქალბატონ მინისტრს ქვების სროლის ჟამი შეეშალა: როგორც აღმოჩნდა, ჯერ კიდევ შეგროვების დრო ყოფილა!

**მარიამ პაპუნაშვილი, იურისტი:** — სიმართლე ის არის, რომ გიგა ბოკერიამ და ძმანმა მისმან თავისი გაიტანეს. რუხი კარდინალი „მოწოდების სიმაღლეზეა“. როგორც ვხედავთ, დამოკიდებულ საზოგადოებაში დამოუკიდებელს ვერ იტანენ.

**სანდრო პატარაია, პოლიტოლოგი:** — სალომე ზურაბიშვილი როგორც დიპლომატი, ვერაფერი შვილი იყო. მას მრავალი „იაღლიში“ მოუვიდა ხელისულფებასთან. ამასთან, გაუთავებელ კონფლიქტში ჩაება ნინო ბურჯანაძესთანაც. მინისტრის გვარიანი უცხოური ხელფასიც (15000 ევრო) კარგი საკბილო აღმოჩნდა მისი მტრებისთვის...



**ალეკო შამანაური, უმუშევარი:** — ამბობენ, საერთოდ, მთავრობის კურსი იცვლებაო, რუსეთისკენ ბრუნდებაო. ნეტა, ეს იყოს მართალი. მაშინ იქნებ გავამართლოთ ზურაბიშვილის გადაყენება. სხვაფრივ, ეს სამარცხვინოა!

**ზურაბ მოდებაძე**

საზრისი

# გიორგი ნოდია: „სალომე ზურაბიშვილი ერთ დღეში იქცა ყველაზე მნიშვნელოვან ოპოზიციურ ფიგურად“

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის გადაყენების მიზეზებზე, მის მიერ ტელეეთერით გაკეთებული პოლიტიკური განცხადებებისა და ამბიციების პერსპექტივების შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თავისი მოსაზრებები „დემოკრატიისა და მშვიდობის“ ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ნოდიამ გაუზიარა.**

**— ბატონო გია, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა სერიოზული პოლიტიკური განცხადებები გააკეთა. თქვენ როგორ შეაფასებდით ერთის მხრივ ხელისუფლების მოქმედებას და მეორეს მხრივ უკვე გადამდგარი მინისტრის განცხადებებს, რომელიც მან გააკეთა?**

— თავისთავად ის, რომ ზურაბიშვილი გადააყენეს, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა დიდი ხანია იყო საუბარი იმაზე, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ არის კმაყოფილი მისი მუშაობის ეფექტურობით. ასე ვთქვათ, მან ვერ ააწყო სამინისტროს მუშაობა.

საბაბი აღმოჩნდა პარლამენტთან დაპირისპირება. საქართველოში ბევრი მინისტრი გადაუყენებიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში უხერხულობა საფრანგეთთან და პრეზიდენტ შირაკთან უფრო იყო, ვიდრე საზოგადოებასთან. ჩემთვის პირადად სალომე ზურაბიშვილის რეაქცია მოულოდნელი იყო, როდესაც მან ასეთი ძლიერი პოლიტიკური ამბიციები გამოამჟღავნა. ის ერთ დღეში იქცა ასე ვთქვათ, ყველაზე მნიშვნელოვან ოპოზიციურ ფიგურად. შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში იყო ერთგვარი ვაკუუმი ოპოზიციაში. ის ოპოზიცია, რომელიც არსებობდა, ვერ ასრულებდა საზოგადოების დაკვეთას, ანუ არ არსებობდა ისეთი ძლიერი ოპოზიციური ლიდერი, რომელიც რაღაცნაირად გამოიწვევდა ნდობას საზოგადოების დიდ ნაწილში. ასეთ ვაკუუმში შემოვიდა ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი.

**— ბატონო გია, რამდენად წარმატებული შეიძლება აღმოჩნდეს ქალბატონი ზურაბიშვილის პოლიტიკაში წასვლა და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბება ?**

— ფონი არის მისთვის ძალიან მომგებიანი, მაგრამ როგორ შეძლებს ის ამ ფონის გამოყენებას, ამაზე, დღეს მხოლოდ მარჩიელობა შეიძლება. ის არის გამოცდილი დიპლომატი, მაგრამ მისი პოლიტიკური გამოცდილება ზუსტად ერთი დღით შემოიფარგლება. მას ძალიან დიდი საწყისი კაპიტალი აქვს. ახლა მას გარკვეულად პოლიტიკური იღბალი აქვს, რომელიც შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ ჰქონდეს პოლიტიკოსს, მაგრამ რამდენად შეძლებს ის რეალური პოლიტიკური ლიდერი გახდეს და არა სიმბოლური, როგორიც დღეს არის, წინასწარ ამაზე ვერაფერს ვერ გეტყვით.

**— ბატონო გია, თქვენ რამდენად იზიარებთ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ მისი გადაყენება იმ ადამიანებმა განახორციელეს, რომლებიც სხვა ქვეყანაზე, კერძოდ რუსეთზე მუშაობენ ?**

— ეს, მე მგონი უკვე პოლიტიკური რიტორიკაა, რომელიც საქართველოში ოპოზიციის ლიდერისთვის არის დამახასიათებელი.

**— ბატონო გია, სალომე ზურაბიშვილის გადაყენებისა და პარლამენტში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, თქვენი აზრით რა დინამიკას შეიძენს პოლიტიკური პროცესი და თქვენი პროგნოზით როგორ განვითარდება პროცესები ?**

— მე მგონი, ის, რაც მოხდა, გამოაცოცხლებს ოპოზიციას საქართველოში და ზოგიერთმა ადამიანმა, რომელიც ყოყმანობდა, ანუ არ მოსწონდა ეს ხელისუფლება, მაგრამ ოპოზიციაში ვერ ხედავდა საიმედო ძალას, შესაძლოა სალომე ზურაბიშვილის პერსონაში დაინახოს ძლიერი პოლიტიკური ლიდერი და მის გარშემო გაერთიანდეს. რამდენად ბევრ ადამიანს მიიზიდავს ის და რამდენად შეცვლის ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს, ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით.

**— ბატონო გია, თქვენ საკამოდ კარგად იცნობთ საქართველოში დემოკრატიულ რესურსს. არის კი საქართველოში დემოკრატიული რესურსი იმდენი, რომ სალომე ზურაბიშვილმა შეძლოს მათი თავის ირგვლივ შემოკრება და სერიოზულ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება ?**

— ეს ძალიან კარგი შეკითხვაა. ადამიანური რესურსი მართლაც მცირეა. როგორც ჩანს, ის შეეცდება საკუთარი პოლიტიკური გუნდის შექმნას, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ შედგებოდეს ადამიანებისგან, რომელთაც ვიცნობთ პოლიტიკურად და ნაწილობრივ შედარებით ნაკლებ ცნობილი ადამიანებისგან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკურ მოძრაობას, ხელისუფლებიდან მოყოლებული ოპოზიციური ძალებით დამთავრებული, დიდი პრობლემა აქვს სწორედ ადამიანური რესურსებისა და ალბათ ქალბატონ სალომესაც ეს პრობლემა ექნება.

**კობა ბენდელიანი**

**ინტერპრესნიუსი**

საქართველოს რესპუბლიკა

ქ ვ ე ყ ა ნ ა

3

№ 244, პარასკევი, 21 ოქტომბერი, 2005 წელი.

⊙ კანონი და მეწარმე

# ცვლილებები ბიზნესს იოლსა და ეფექტურს გახდის

**სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა „მრგვალი მაგიდა“, რომლის მონაწილეებმაც — საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ მეწარმეთა კანონში ცვლილებების საბოლოო ვერსია წარმოადგინეს. განხილვაში მონაწილეობდნენ ბიზნეს-ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლები.**

ყველაფრიდან ჩანდა, რომ სამუშაო ჯგუფს მეტად სერიოზული მუშაობა გაუწევია, რომლის მიზანია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მისი ჰარმონიზება ევროპის კანონმდებლობასთან.

როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ძაგნიძემ განაცხადა, საკანონმდებლო ცვლილებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და კანონის ეფექტურად გამოყენებას. შესწორებული მეწარმეთა კანონი შეძლებს უცხოელ ინვესტორებში გაზარდოს ნდობა ქართულ სამეწარმეო სამართალთან დაკავშირებით, გასაგები კანონი კი მეწარმეებს მუშაობას გაუადვილებს და ბევრი მათგანი ახალ ბიზნესსაც წამოიწყებს.

ცვლილებები მეწარმეთა კანონში ძირითადად ასე გამოიხატა: გაუმჯობესდა ინვესტორთა დაცვის მექანიზმები, კანონში აღმოიფხვრა ბუნდოვანება, შეიქმნა ბიზნესის რეგულირების მოსახერხებელი და მოქნილი მექანიზმი, ამასთანავე მოხდა ქვეყნის მეწარმეთა კანონის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

ინვესტორთა დაცვის მექანიზმის სრულყოფის მიზნით განხორციელდა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები. მოწესრიგდა თანამდებობაზე დირექტორთა დანიშვნა-გათავისუფლების, მათთან ხელშეკრულების დადების მექანიზმი, რაც აღმოფხვრის ჩვენი სასამართლოების ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს ამ სფეროში. ეს კი ინვესტორს გაუიოლებს არაკომპეტენტური ხელმძღვანელის ჩამოშორებას კომპანიიდან.

კანონი გაამარტივებს მეწარმეთა საქმიანობას და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს სასამართლო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასა და სისწორეს. მეწარმეთა კანონი გერმანიისა და შვეიცარიის სამეწარმეო სამართალს ეფუძნება, თუმცა აქამდე მასში არაერთი დებულება და პრინციპი იყო გამოტოვებული, ზედმეტად შემცირებული ან თარგმანში დაკარგული. ამ მიმართულებით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და გერმანიის ტექნიკური დახმარების ორგანიზაციამ განსაკუთრებული შრომა გასწიეს. ახალი რედაქცია ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა სახეობის ქონება შეიძლება იქნას გამოყენებული საწესდებო კაპიტალში შესატანად, როგორ უნდა მოხდეს მისი შეფასება და რა შედეგი მოჰყვება შესაბამისი დებულების დარღვევას.

მოსახერხებელი და მოქნილი სისტემის შექმნის მიზნით ფაქტობრივად მთლიანად შეიცვალა და დაიხვეწა დებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა საწარმოს ლიკვიდაცია, გარდაქმნა და რეორგანიზაცია. ამით მეწარმეებს შესაძლებლობა მიეცემათ გადაუხვიონ კანონის სავალდებულო მუხლებს და სამუშაოდ უფრო მოსახერხებელი გარემო შექმნან.

მეწარმეთა კანონში ცვლილებები პარლამენტს წლის ბოლოს წარედგინება განსახილველად.

**ლალი ძინძლაძე**



⊙ ნატვრანარევი აზრი

# ვუახლოვდებით ჩვენს ზღვას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ ასე შორია...

**აფხაზეთის ტრაგედია ყველა ნორმალური ქართველისა და აფხაზისთვის მოუშუშებელი ტკივილი რომ არის, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ დღეებში თბილისის სამეფო უბნის თეატრში — „ზღვა, რომელიც შორია“ სპექტაკლის მსვლელობისას, რაც მწერალ გურამ ოდიშარიას, რეჟისორ თემურ ჩხეიძისა და მსახიობ დიმა ჯაიანის ერთობლივმა, ნიჭიერად განხორციელებულმა ნამუშევარმა განაპირობა. პროფესიონალი თეატრმცოდნეები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები და, რაც მთავარია, დევნილთა, გნებავთ, იძულებით გადაადგილებულთა, მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები თავიანთ წონად სიტყვას აღნიშნულ შემოქმედებით შედევრთან დაკავშირებით, ალბათ, ჩემზე უკეთ იტყვიან.**

მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე, ჩამოთვლილ სპეციალობათაგან არც ერთს არ მივეკუთვნები, თავს უფლებას ვაძლევ, პირველად ამდენი წლების შემდეგ, წერილობით ჩამოვაყალიბო ჩემი, ერთი რიგითი მოქალაქის, პოზიცია ამ მოუშუშებელი ჭრილობის შეხორცების გზების თაობაზე, რომლის სურვილიც და ვალდებულებაც მაშინ გამიმძაფრდა, როცა ზემოთ ნახსენები სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდი თუ პატარა, ქართველი თუ აფხაზი თავს ვერ იკავებდა და ღვარად წამოსულ ცრემლებს შეძლებისდაგვარად ერთმანეთს ვარიდებდით, ანუ დაახლოებით ისე, როგორც ამას არცთუ იშვიათად ვშვრებოდით იმ „ავადსახსენებელ“ წლებში ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინში.

მოგეხსენებათ, სერიოზული ჭრილობა ნაიარევის სახით ადამიანის სხეულზე თავის კვალს ყოველთვის ტოვებს, ამ შემთხვევაში პირველი რიგის ამოცანა ჭრილობის დროული შეხორცებაა, რომლის შემდეგ, ანუ გამოჯანმრთელების კვალობაზე, შეიძლება იზრუნო ნაიარევის კვალის გაქრობაზე, რაც, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია და სხვადასხვა მიზეზის გამო ხშირად ადამიანი ამისთვის ვერ იცლის და სამუდამო სასუფეველში თან მიჰყვება სიცოცხლეში დასმული დაღი. ანალოგიურად, აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაშიც აუცილებელია როგორმე მოიძებნოს ქართველებისა და აფხაზებისთვის მიყენებული ჭრილობების მოშუშების გზები, ხოლო ნაიარევის საბოლოო გაქრობაზე ჩვენი თაობა თუ ვერ მოასწრებს რეალურ ქმედებას, მაშინ მას ჩვენზე უკეთ ის თაობა მოახერხებს, რომელსაც ფიზიკურად არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ამ ყოვლად გაუმართლებელ ტრაგედიაში.

ძნელია ვინმემ, თუნდაც დაახლოებით ჩამოთვალოს ან აღწეროს ყველა ის ღონისძიება, რაც ამდენი წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, უშედეგოდ ხორციელდებოდა და ხორციელდება კონფლიქტის მოგვარების მიზნით. შედეგად ჯერჯერობით ორივე მხარი სანუკვარი ოცნების განხორციელების რეალურ გზას კი არ მივუახლოვდით, არამედ თანდათან უფრო დავცილდით! დროა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართებით დღემდე განხორციელებულმა ყველა ღონისძიებამ კრახი განიცადა. ხმამაღლა ნათქვამია? კი, ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ რეალობა ეს არის, და რაც გნებავთ, ის ბრძანეთ.





დასაწყისში მოგახსენეთ და ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ პირადად მე, არავითარი ამბიცია ან პრეტენზია არ გამაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარების ჩემ მიერ შემოთავაზებული გზა ოპტიმალური ან ერთადერთი იყოს, მაგრამ რომ იტყვიან, გავრისკავ და ჩემს სათქმელს ვიტყვი. თუმცა, დარწმუნებული ვარ, დიდ ხლაფორთში შევრგე თავი. რა ძალა მადგა? ის ძალა მადგა, რომელსაც მოქალაქეობრივი ვალი და იმ ცრემლების ნიაღვარის ძალა ჰქვია, ზემოთ რომ მოგახსენეთ და, რაც მთავარია, კიდევ ის, რომ ასე ვფიქრობ, ასე მწამს, ასე მჯერა.

მაშ ასე, კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთ გზად რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაა და არა აშშ-ის ან ნებისმიერი ევროკავშირებისა თუ ეგრეთ წოდებული მეგობარი ქვეყნების იმედად ყოფნა. აქსიომაა, რომ რუსეთის ინტერესების საზიანოდ და საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ არც ერთი ქვეყანა არ გადადგამს სერიოზულ ნაბიჯს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი სისხლხორცეულად არის დაინტერესებული აფხაზეთის ტერიტორიით და ამიტომ მასთან, სამწუხაროდ, ისე მოგვიწევს საუბარი, როგორც ამ ტერიტორიის პერსპექტიულ მფლობელთან. უფრო ზუსტად, ჩვენ მათ უნდა დავუდოთ ჩვენი კანონიერი რამდენიმე აუცილებელი მოთხოვნა და ამის პარალელურად მოთმინებით მოვისმინოთ და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი სანაცვლო მოთხოვნები. ამ პირობებში საქართველოს აუცილებელი მოთხოვნები როგორც მინიმუმი უნდა იყოს: იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში; აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე აფხაზურ და რუსულ ენებთან ერთად, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება; საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ყველა მოქმედი და აღიარებული საერთაშორისო ნორმის ცნობა და დაკანონება. ქართული მხარის ამ სამი ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინების პარალელურად რუსეთის მხარე აფხაზეთის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მრავალ მოთხოვნას ჩამოაყალიბებს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა რაც შეიძლება ოპერატიულად უნდა განხორციელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველებიც და აფხაზებიც კიდევ ერთხელ წააგებენ, რისი გამოსწორებაც, რაც დრო გავა, მით უფრო შეუძლებელი გახდება.

ამ პირობებში ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, რომ რუსეთთან მოლაპარაკების ქართული მხარის პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს საქართველოს კულტურის, ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების, საერთაშორისო სამართლისა და სხვა აღიარებული ავტორიტეტული პიროვნებებისაგან. მე თუ მკითხავთ, ცოცხლები რომ იყვნენ, ამ ჯგუფს სათავეში ჩავუყენებდი სახალხო დიპლომატიის ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ ზურაბ ანჯაფარიძე, ირაკლი აბაშიძე ან კოტე მახარაძე. დიახ, სწორედ, ასეთი აღიარებული ავტორიტეტებია საჭირო დღეს ამ საქმისათვის.

საბედნიეროდ, საქართველოს კიდევ ჰყავს სათანადო დონის ავტორიტეტები, რომელთა რეკომენდაციით დაკომპლექტებული მუშა ჯგუფების პერსონალურ შემადგენლობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. მთავარია ამ ჯგუფების შემადგენლობა მაქსიმალურად იყოს დაცული მოქმედი პოლიტიკოსებისგან. რა თქმა უნდა, ამ შემადგენლობასთან მეც გამაჩნია ჩემი პირადი მოსაზრება, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი დასახელებისაგან შეგნებულად ვიკავებ თავს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტას ჩემზე უფრო კომპეტენტური მოსაზრება ესაჭიროება.

ჩვენი წინადადების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული მუშა ჯგუფის პერსონალური შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს საქართველოს პარლამენტმა, რომელიც აღჭურვილი იქნება მაქსიმალური უფლებამოსილებით და ყველა მნიშვნელოვან საკითხს შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. ბუნებრივია, ცალკეულ პიროვნებებს პოლიტიკურ პარტიებს და სხვა სპეციალისტებს წარმოდგენილ წინადადებებთან დაკავშირებით გაუჩნდებათ საპირისპირო მოსაზრებები, რომელთა განხილვა, სასურველია, მოხდეს განსაკუთრებული ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე იმ მთავარი ამოსავალი პრინციპის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილები რაც შეიძლება მოკლე დროში უპირობოდ დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს და ამის შემდეგ თანდათანობით, ცივილიზებული წესებით გადავწყვიტოთ ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, ანუ ვიმოქმედოთ სწორი პრინციპის დაცვით, რათა მომავალში ჩვენი და აფხაზების ჭირი და ლხინი ისევ საერთო იყოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში რეალობად იქცევა ამ დღეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის დროული გადაწყვეტილების თაობაზე რუსეთის დუმის გავლენიანი პერსონების გაცოფებული განცხადებები, რომლებიც პრაქტიკულად ომის გამოცხადების ტოლფასია. შედეგად, თავის დროზე სამტრედიის რკინიგზის ბლოკადისა არ იყოს, ჩვენ მეტად დავზარალდებით თუ რუსეთი, ამის თაობაზე კითხვაც აღარ უნდა დაისვას.

**ანზორ ბაბუხადია,**
**გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.**

⊙ ინფორმაცია

## გელა ბეჟუაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა



**გუშინ** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმადაც, უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა.

გელა ბეჟუაშვილმა პოლიტიკური კარიერა ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. იგი დაახლოებით ორი წლის განმავლობაში საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის მოადგილე იყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გელა ბეჟუაშვილს თავდაცვის მინისტრის პოსტი ჩააბარეს. მოგვიანებით, ის უშიშროების საბჭოს მდივნად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ბეჟუაშვილი დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა.

## გიორგი არველაძემ დეპუტატის მანდატი დატოვა

**როგორც** მან გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, ამიერიდან ის უკვე ოფიციალურად შეასრულებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ფუნქციას.

მისი თქმით, შესაბამის ბრძანებულებას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკვე მოაწერა ხელი.

## სალომე ზურაბიშვილმა ჟაკ შირაკს წერილი გაუგზავნა

**გუშინ** საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა წერილი გაუგზავნა.

წერილში ზურაბიშვილი მადლობას უხდის საფრანგეთის პრეზიდენტს საქართველოში მუშაობის პერიოდში მისთვის გაწეული თანადგომისათვის და აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელად მის დანიშვნაზე საფრანგეთის მხარის თანხმობას ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

**ინტერპრესნიუსი**

⊙ პროფკავშირები

# გვექნება სრულიად ახალი ტიპის გაერთიანება?

**ვიდრე ახალ თაოსნობას გაგაცნობთ, რომელიც ახლახან გამართულ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის IV ყრილობაზე იშვა, მოკლედ გიამბოთ თვით ამ ყრილობის მუშაობის შესახებ.**

მოხსენება გააკეთა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ ციცო ჯაფარიძემ, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა ყრილობიდან ყრილობამდე განვლილი პერიოდი, აღნიშნა წარმატებებიც და გამოკვეთა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომლებიც არც ისე იოლია და ადვილად დასაძლევი. ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

— მიუხედავად საზოგადოების ნიჰილიზმისა, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ყრილობის მონაწილემ სემილა ჯმუხაძემ, — იგრძნობა, რომ საკუთარი ინტერესების დამცველად ადამიანებს პროფკავშირები მიაჩნიათ. ამის დასტურია მშრომელთა განცხადებები, საჩივრები თუ შეკითხვები. მართალია, უჭირთ გადაადგილება, მაგრამ ხალხი მაინც მოდის ჩვენთან დახმარების იმედით, რეკომენდაციებისთვის.

ასეთი ურთიერთობების შედეგია ის, რომ საანგარიშო პერიოდში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა დარგის მუშაკთათვის, ბევრმა დაისვენა უფასო საგზურებით პანსიონატებსა თუ გამაჯანსაღებელ ბანაკებში, ჩაუტარდათ უფასო სამედიცინო გამოკვლევები, დაეხმარნენ წევრებს კვების პროდუქტებით, დახმარება და კონსულტაცია გაეწიათ სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებში.

პროფკავშირის აქტიურობა შესამჩნევი გახდა ხელისუფლებისთვის, ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, პროფესიული კავშირის თავმჯდომარე ქალბატონი ციცო ჯაფარიძე საქართველოს შრომისა და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მომწესრიგებელი მუდმივმოქმედი სამმხრივი კომისიის წევრია.

სწორედ ამ ქალბატონის დაუღალავი საქმიანობის შედეგია, რომ ვითარდება ურთიერთობები საერთაშორისო კავშირებთან. შარშან კი თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი კოლექტიური ხელშეკრულების მომზადებისა და დადების შესახებ. ამ სემინარმა უცხოელი კოლეგების დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოხმაურებაც მნიშვნელოვანი ჰქონდა.

ყრილობამ, რომელსაც მისასალმებელი წერილი გამოუგზავნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გოკა გაბაშვილმა, მართლაც საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ახლა კი იმ თაოსნობაზე, რომელიც დასაწყისში ვახსენეთ.

ქალბატონმა ციცო ჯაფარიძემ წამოაყენა წინადადება საქართველოს ერთიანი, ეროვნული პროფესიული კავშირების გაერთიანების თაობაზე და მოუწოდა ყველა დანარჩენ პროფკავშირებს, გაწევრიანდნენ ამ სრულიად ახალი ტიპის პროფკავშირების გაერთიანებაში.

**ინეზა ინასარიძე**

⊙ პერსპექტივა

# რა არის საჭირო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად?

## გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა ხელს შეუწყობს შავი ზღვისპირა რეგიონების ფერმერებს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბებაში

**შავი ზღვისა და მისი აუზის ბუნებრივი კომპლექსის რაციონალურად გამოყენების პრობლემა, ისევე როგორც ზღვისპირა სხვა ქვეყნებისთვის, საქართველოსთვისაც ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა და მის გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის შემდგომი განვითარების ბედი.**

**1992 წელს ქ. ბუქარესტში ჩატარდა შავი ზღვისპირა ქვეყნების მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელიც სწორედ ამ პრობლემებს — შავი ზღვისა და მისი აუზის ეკოლოგიურად დაცვას მიეძღვნა. თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის საერთაშორისო კონვენციას, რომელიც 2003 წელს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაციაჰყო.**

**კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაში შავი ზღვისპირა ქვეყნებს გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევენ მსოფლიო ბანკი, გარემოს გლობალური დაცვის ფონდი, ევროკომისია, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის დახმარებით მიმდინარე სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტი, რომლის ფარგლებშიც უკვე მთელი რიგი გარემოსდაცვითი ღონისძიებები განხორციელდა.**

საქართველოს მთავრობის ინიციატივით და მსოფლიო ბანკის დახმარებით მომზადდა ერთობლივი პროექტი — „სასოფლო-სამეურნეო კვლევა დანერგვა-კონსულტირება და სწავლება“, რომლის განხორციელება 2002 წლიდან მიმდინარეობს. **პროექტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სწორედ გარემოს დაბინძურების შემცირების პროგრამა, რომელსაც მსოფლიო ბანკის ინიციატივით გარემოს გლობალური დაცვის ფონდი აფინანსებს.**

გრანტით მიღებული დახმარება ხელს შეუწყობს საქართველოს შავი ზღვისპირა რეგიონის ფერმერებს მიწისა და წყლის რესურსების ეფექტური მენეჯმენტის განხორციელებასა და სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბებაში, რაც მომავალში უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურების შემცირებას, რადგანაც საქართველოს ფარგლებში ამის ერთ-ერთი წყარო სწორედ აგრარული სექტორია.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ აგრარულ სექტორში განხორციელებულმა რეფორმებმა ნათლად წარმოაჩინეს ახლად შექმნილი მიწის მესაკუთრეთა — ფერმერთა ფენაში თანამედროვე აგროტექნოლოგიების ცოდნისა და სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეფიციტი. საბაზრო ურთიერთობებზე დაყრდნობილი მეურნეობის მართვისთვის საჭირო მიდგომების ჩამოუყალიბებლობის პირობებში ფერმერებს დამოუკიდებლად ჯერ კიდევ უჭირთ ეკოლოგიურად მდგრადი აგრარული პოლიტიკის გამოყენება და რეალურად შესაძლო რაოდენობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შექმნა.

ცნობილია, რომ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით ჩვენს ქვეყანაში მრავალი წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა მინერალური სასუქები, რის გამოც, დღეისთვისაც კი, აზოტის სხვადასხვა შენაერთთა ნარჩენების შემცველობა ნიადაგში 20-80-ჯერ აღემატება ზღვრულ დასაშვებ ნორმებს, ხოლო გრუნტის წყლებში — 10-ჯერ.

სწორედ ამ პრობლემათა გათვალისწინებით გარემოს გლობალური დაცვის ფონდის გრანტის დახმარებით პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ნებისმიერ კლიმატურ პირობებთან მორგებული და შავი ზღვის აუზში უკვე წარმატებით აპრობირებული ნაკელის მენეჯმენტის მარტივი და ეფექტური ტექნიკური საშუალებები: **გაუმჯობესებული კონსტრუქციის ნაკელსაცავები, ბიოგაზის დანადგარები, ბიოჰუმუსის მწარმოებელი ჩარჩო-კონტეინერები და აგრეთვე გადამუშავებული ნაკელის ნაკვეთებში შეტანისთვის საჭირო მარტივი, მაგრამ აუცილებელი დანადგარები.**

გარემოს დაბინძურების პროგრამა პირველ ეტაპზე განხორციელდა შავი ზღვის ერთ-ერთი ძირითადი შენაკადის — მდინარე ხობისწყლის აუზში (ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს რაიონები), შემდეგ იგი გავრცელებას ჰპოვებს სანაპირო ზოლის სხვა რაიონებშიც (ზუგდიდი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქობულეთი, ხელვაჩაური), აქ წყლის დაბინძურების ძირითადი წყარო აგრარული სექტორია აუზი ხასიათდება ცხოველთა დიდი კონცენტრაციით, ამიტომ შესაბამისად მაღალია მეცხოველეობის ნარჩენებით ნიადაგის, გრუნტის წყლებისა და მდინარეების დაბინძურების დონე, ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი რაოდენობა ეროზირებულია, ფერმერები არ ფლობენ მიწის დამუშავების სრულყოფილ მეთოდებს. იმის გამო, რომ რეგიონი განიცდის ენერგოშემცველების მნიშვნელოვან დეფიციტს, მოსახლეობა ძირითადად შეშას იყენებს, რის შედეგადაც იჩეხება სოფლების მიმდებარე ტყეები.

**ყოველივე ამის გამო საერთაშორისო ექსპერტები და ადგილობრივი ფერმერებიც მიიჩნევენ, რომ ხობისწყლის აუზის ფერმერულ მეურნეობაში დანერგილი ტექნიკური მიღწევები და ეკოლოგიურად მდგრადი აგრარული პრაქტიკა უდავოდ შეუწყობს ხელს როგორც აუზის მდინარეების, ასევე ხობისწყლის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.**



ამას წინათ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მოეწყო რეგიონული კონფერენცია — „ბალტიის ზღვის, შავი ზღვისა და მდინარე დუნაის აუზების ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო სექტორში ძირითადი საკვები ელემენტების მართვა. გამოცდილება და პერსპექტივები“, რომელსაც ესწრებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები, აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ფინანსთა სამინისტროების, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, მსჯელობა გაიმართა სწორედ იმ საკითხებზე, როგორ შევძლოთ, **რომ აგრარულ მეურნეობაში ძირითადი საკვები ელემენტების გამოყენებით, მაგრამ მინერალური სასუქებით ნიადაგისა და წყლის დამატებითი დაბინძურების გარეშე, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მაღალი მოსავალი მივიღოთ.**

ცნობილია, რომ 2002 წელს ანალოგიურ საკითხებზე პოლონეთში ჩატარდა კონფერენცია. 2003 წელს — რუმინეთში, 2004 წელს — ლიტვაში.

— წელს საქართველო მსოფლიო ბანკთან ერთად პირველად მასპინძლობს ბალტიის ზღვის, შავი ზღვისა და მდ. დუნაის აუზების ქვეყნების წარმომადგენლებს, — თქვა თავის გამოსვლაში **სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა**, მისი მიზანია საკვები ელემენტებით გარემოს დაბინძურების შემცირება, ასევე ქვეყნების გამოცდილებების გაზიარება და სამომავლო პროგრამების და თანამშრომლობის პერსპექტივები, ასევე ფერმერულ მეურნეობებში დასანერგად და გასავრცელებლად შეირჩეს ეკოლოგიურად მდგრადი აგრარული პრაქტიკის პრიორიტეტები. მსოფლიო ბანკი ყოველივე ამის საჭიროებისათვის 35 მილიონ დოლარით გვეხმარება.

გთავაზობთ კონფერენციის რამდენიმე მონაწილის კომენტარს:

**სოფიო ახობაძე — გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე:**

60-იანი წლებიდან დაწყებული შავი ზღვის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ერთ-ერთ მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიჩნეულია ეუტროფიკაცია.

რა იწვევს ეუტროფიკაციას?

მას იწვევს სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან ნუტრიენტებითა და ბიოგენური ელემენტებით მდინარეებისა და შავი ზღვის დაბინძურება.

60-იან წლებში შავი ზღვისა და მასში ჩამდინარე მდინარეების აუზში არსებულ ქვეყნების სოფლის მეურნეობის წარმოებაში განხორციელებულ ცვლილებებს ხშირად „მწვანე რევოლუციას“ უწოდებენ. იგი, კერძოდ, მოსავლიანობის გაუმჯობესების მიზნით სასუქებისა და პესტიციდების დიდი რაოდენობით გამოყენებაში მდგომარეობს.

ეუტროფიკაციის მიერ მიყენებული ზიანის მასშტაბები საკმაოდ მაღალია. მისი ზეგავლენით 70-იან-80-იანი წლებიდან გამომდინარე დაიწყო შავი ზღვის ეკოსისტემის რღვევა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ პრობლემა საკმაოდ აქტუალურია შავი ზღვის ქვეყნებისთვის და მათ შორის — საქართველოსთვის. კონფერენციის მუშაობა საშუალებას მოგვცემს გავიზიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონმდებლობის სტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და შესაბამისი ინსტიტუციური თუ სხვა ტექნიკური საკითხების დაგეგმვის კუთხით.

ამჟამად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების ანალიზი ხორციელდება მხოლოდ წელიწადში ერთხელ, გასული ორი წლის მონაცემებით, ნიტრიტების შემცველობა 1,5-3-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცეფციას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შემცირდა სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება, რაც, თავის მხრივ, პირდაპირ უკავშირდება ნუტრიენტების დაბინძურებით სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. თუმცა დღეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების აღმავალი ტემპი არ გვაძლევს დამშვიდების შესაძლებლობას, სწორედ ამიტომ გარემოს დაცვის სამინისტრო ამ საკითხებთან დაკავშირებით მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

**დარეჯან კაპანაძე, მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისის პროექტების მმართველი.**

— კონცეფციაზე ძალიან აქტუალურ საკითხებს განვიხილავთ. მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობა ქართულ ეკონომიკაში წამყვანი დარგია და პერსპექტივაში იგი კიდევ უფრო განვითარდება. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ ეს პროცესი ჩვენი გარემოსთვის, ბუნებისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებლად წარიმართება და ზიანის მომტანი არ იქნება.

მართალია, ჩვენთვის უპირველესად მნიშვნელოვანია ჩვენი ბუნებრივი გარემო და ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარება როგორი კუთხით წარიმართება, მაგრამ ეს საკითხი თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი ქვეყნის ინტერესებს და რეგიონულ ხასიათს ატარებს, ამიტომ ამ კონფერენციაშიც რამდენიმე ქვეყანა მონაწილეობს, მათი ტერიტორიებიდანაც ხომ ჩაედინება მდინარეები შავ ზღვაში? სასიხარულოა, რომ ეს ქვეყნები ჩვენთან თანამშრომლობენ ამ საკითხებზე, თავისთავად ცდილობენ შეამცირონ ზღვის აუზის დაბინძურების მასშტაბები, რაც ჩვენთვის ძალიან აქტუალურია.

**გურამ ალექსიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:**

— პრობლემა, რომელსაც განვიხილავთ, თავისი არსით მეტად აქტუალურია, რადგან უკანასკნელ წლებში სასუქებისა და პესტიციდების უკონტროლო გამოყენებამ ძალზე რთული ეკოლოგიური სიტუაცია შექმნა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის დაბინძურების საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, წლითი-წლობით მატულობს. სასიხარულოა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა ქვეყნები ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყველაფერს აკეთებენ. მათი პრაქტიკული დახმარებით შემუშავებულია მრავალი პროგრამა, რომელიც სწავლობს აღნიშნულ პრობლემებს.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მცენარეთა დაცვის, მიწათმოქმედების, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები აქტიურად არიან ჩართულნი ამ პროცესებში და მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში.

მომავალი წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ჩატარდეს შავი ზღვის ქვეყნების კონფერენცია მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ მეთოდებზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შავი ზღვის აუზის რეგიონის ეკოლოგიური მეურნეობის გაუმჯობესებას.

**ნაზი იმნაიშვილი**

# მწერალი ენის ყმაა მარადიულად

ესაუბრება ედუარდ უგულავა



**დაიბადა** 1973 წლის 19 სექტემბერს ხონის რაიონის სოფელ გორდში. 1999 წელს დაამთავრა თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. 2004 წელს დაასრულა მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის მაგისტრატურა.

არის თბილისის რუსთაველის სახელობის 112-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

მისი ლექსები პერიოდულად ქვეყნდებოდა: „ნობათში", „ცისკარში", „ლიტერატურულ საქართველოში", „კალმასობაში", „უქიმერიონში", ჟურნალ „ჯეჯილის" ფურცლებზე. არის პოეტური კრებულის „სამზეურას" თანაავტორი.

1996-98 წლებში რედაქტორობდა ლიტერატურულ გაზეთ „პარადოქსს".

2005 წელს „საარმა" გამოსცა პოეტური კრებული „გულში შენ ხარ".

ამჟამად მუშაობს სადისერტაციო ნაშრომზე „მუხრან მაჭავარიანის პოეტიკა".

*1. რას იტყოდით XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?*
*2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?*
*3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?*
*4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?*
*5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?*
*6. რაზე მუშაობთ ამჟამად?*

● **საბედნიეროდ**, არიან პოეტები, რომლებიც სიახლეებით ამდიდრებენ ქართულ პოეზიას. თუნდაც რად ღირს ქალბატონ ელა გოჩიაშვილის შემოქმედება, რომელიც უდავოდ მეტ ყურადღებას იმსახურებს. გამორჩეულია მისი ლექსების ფორმა და უჩვეულოა მათი შინაარსი.

ასევე თავისებურია ზვიად რატიანისა და რატი ამაღლობელის შემოქმედება.

● **დროს** თუ საშუალება მიეცა, არა მარტო წიგნს, სხვა ღირებულებებსაც ადვილად გადააქცევს კომერციისა და ბიზნესის საგნად. თუმცა, არა მგონია, მკითხველიც ისევე აღიქვამდეს წიგნს, როგორც ამ ბიზნესით დაინტერესებული ადამიანები.

როგორი მოთხოვნილებაც ექნება მკითხველს მომავალში, ისეთივე ხასიათის ნაწარმოებიც დაიწერება.

● **ადამიანების** უმეტესობა ან ვერაფერს აკეთებს, ან დაკავებულია იმ საქმიანობით, რაც არ უყვარს და ხშირად არც იცის.

ასევე პრობლემაა ერთმანეთის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება.

● **ჩვენი** მწერლობა ამ მუხტით, სიყვარულითა და ოსტატობით არის შექმნილი, აუცილებელია ქართველი კაცი კარგად იცნობდეს მას.

მე სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი და, საბედნიეროდ, მუდმივად მიწევს ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებასთან სიახლოვე. განსაკუთრებით მხიბლავს: რუსთაველის, ვაჟასა და გალაკტიონის წარმოუდგენელი ენერგიით დამუხტული პოეზია.

● **ენასთან** განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო და იგი კი არ უნდა „წაიბილწოს", როგორც ზოგიერთ „მწერალს" ჰგონია და ამ ხერხით ცდილობს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, არამედ უნდა გამდიდრდეს მწერლის ნიჭისა და ოსტატობის წყალობით.

● **ვმუშაობ** საბავშვო წიგნზე, რომელშიც ლექსები და ზღაპრები იქნება თავმოყრილი.

**ჩაიწერა**
**თამარ შაიშმელაშვილმა**

## ედუარდ უგულავა

# ლექსთა კონა

### სამშობლო ხარ ჩემი

ვერ იქნები უტკივილოდ
ნათქვამი,
გმარცვავენ და ვეღარაფერს
გშველი.
შენ არა ხარ ჩემი
თავშესაფარი...
მე შვილი ვარ შენი.
ჩემო კარგო, ვერ ეწიე
საწადელს
და ფიქრებით ღამეების
მთეველს,
უარს ვინ გეტყვის —
რამე თუ გაატანე,
მაგრამ მერე, ამ ყველაფრის
მერე,



რა გამოვა — ვინც
არ უნდა აგინო,
ანდა გულის ნერვიული ცემით?!
საქართველოვ, ყველაფრისგან
დაღლილო,
სამშობლო ხარ ჩემი!

### არც მისთვის

არა, იმისთვის კი არა,
რომ დარდი მშვიდად ითქმება,
არც მისთვის — ჩემი იარა
გაკეროს შენმა თითებმა...

არც მისთვის,
რომ შენს საქებრად
ვითხოვ ღვინიან ფიალებს...
უბრალოდ — მომენატრე და
ცოტა ხნით შემოგიარე.

### მაცალეთ ჩემი საქართველო!

ჯერ კიდევ თქვენამდე
ხიბლავდა წარმართებს
სიმწიფე ამ მზის და ვენახების.
თუ რამეს გამოგვრჩებით,
თუ რამეს წაგვართმევთ,
თორემ ვის რაში
გენაღვლებით?!

თითქოს და არ გინდათ,
თითქოს და არ აჰირებთ,
სიმართლის ყველა გზა აამტვეროთ,
რა გინდათ?! თქვენი
დედა კი ავატირე,
მაცალეთ ჩემი საქართველო!

* * *

თუმც სევდა შენი სიშორის
მკვლავს და ცხოვრებაც გაცუდდა,
ვინც მოინდომებს, იშოვის,
სულ ცოტას მაინც, რაც უნდა.

თუ ვინმეს ცრემლი გაუშრა,
ყველამ მიყიდა
სიყალბეს.
მას, ვინც იკადრებს,
— „რა უშავს",
„ვაი, მას", — ვინც
ვერ იკადრებს.

### დღეს

დღეს, როს სიმართლეს
თითქმის არ წერენ,
დღეს, როცა გული
ცოცხლობს აბებით,
დღეს, როცა მივხვდით,
თბილისის დღეებს,
როგორ უეცრად
შემოვაბერდით...

დღეს, როცა ჩემი
მშვენივრად გესმის,
დღეს, როცა მართლა



ვეღარ გელევი, —
ყვავილებივით
მაჭკნება ხელში
შენი ხელები.

### ყვავი

სანამ კარგად გათენდება,
ამოსვლამდე მზის,
ერანტალებს და ანძის თავზე
არხეინად ზის.

და თუ სადმე მკვდარი ხორცის
ჩვეულება ყარს,
მიფრინდება, მიირთმევს
და უხარია ყვავს.

ან არადა, არის მისთვის,
თითქოს არვის ვნებს,
მაგრამ მისი არსებობა სულ
არ მოსწონთ სხვებს.



თუმცა ფრინველს
მათი აზრი,
მგონი, არც
კი წყინს,
დარია თუ ავდარია,
მზე არის თუ წვიმს;

უფრო ხშირად, იმ ანძაზე
ჯდომა უყვარს ყვავს.
საიდანაც დარჩენილი
საქართველო ჩანს.

* * *

ოთახს დავტოვებ ობიანს,
თვალებს შევანჯღრევ
ამომქრალს,
შენთან შეხვედრა ჯობია
ყველა საქმეს და საქმოსანს.

და თუმც სიმშვიდე აკლია
სულს სიმწარეში
შესრესილს,
შენთან სიკვდილიც კარგია,
სიცოცხლე — მთლად უკეთესი.

* * *

შემოდგომა ისევ სოფელს
უმზერს,
მეც ვუმზერ და უჩვეულოდ
ვკრთები, —
ვით აქლემის გადაბრეცილ
კუზებს
წააგავენ საქართველოს
მთები.

გამიგიჟდა ეს ოცნება
სულ მთლად,
არ მენდობა, სხვა
სურვილებს მალავს
და მაჭარის ახალგაზრდა
სუნთქვა
უკაკუნებს ქართულ
თავის ქალას.

⊙ **საღამო**

# ნიღბით და უნიღბოდ

**ამ ბოლო დროს ქართული კულტურის მხარდასაჭერად ბევრი ღონისძიება იმართება, მაგრამ ამას წინათ მწერალთა კავშირში ახლად დაარსებულ მონოლოგის თეატრში გამართულმა საღამომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

**ეს იყო პოეტ მზია ხეთაგურის საღამო, რომელზეც წარმოჩნდა შემოქმედი ადამიანის მრავალმხრივი ნიჭიერება.**

თამამად შეიძლება თქმა, რომ მზია არა მარტო პოეტი, არამედ არცთუ ურიგო მუსიკოსი და მომღერალია; მან თავისი მსახიობური ნიჭი მოიშველია, რითაც იმპროვიზაცია მრავალმხრივი და საინტერესო გახდა.

აი, რას ამბობს მზია ხეთაგურის ლექსების ერთ-ერთ კრებულში რუსი მწერალი **პიოტრ გრადოვი**: **„მზია ხეთაგური საოცარი ქალია. იგი თითქოს ალორძინების ეპოქიდან გადმოსახლდა ჩვენთან. თავად განსაჯეთ, იგი არა მარტო წერს შესანიშნავ ლექსებს, არამედ თარგმნის კიდეც. ჭეშმარიტი მუსიკოსიცაა. მახსოვს, როცა მწერალთა ჯგუფი პოლონეთში გახლდათ, მზიამ წაიკითხა თავისი ლექსები შოპენზე, მერე მიუჯდა როიალს და დაუკრა შოპენის მუსიკა. ვარშავაში ამის გაკეთება სარისკოა, მაგრამ მან ისე შეასრულა რამდენიმე ნაწარმოები, რომ მთელი დარბაზი ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს..."**

ასე იყო მონოლოგის თეატრშიც, ყველა იქ მისული, გაოცებული, ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს მზია ხეთაგურს. მან დიდი ოსტატობით შეასრულა შოპენის, ბეთჰოვენის ნაწარმოებები. შემდეგ კი თავისივე ლექსებზე შექმნილი რომანსები — „მიყვარხარ", „წლებს არ დანებდე" თვით პოეტმა აამღერა, თანხლებას კი უწევდა მუსიკის ავტორი მაყვალა ხორბალაძე.

შეკითხვაზე, თუ რა ადგილი უჭირავს მუსიკას მზია ხეთაგურის ცხოვრებაში, იგი ამბობს:

— მუსიკა ჩემთვის იგივეა, რაც პოეზია. იყო დრო, როცა მუსიკას გულმოდგინედ ვეუფლებოდი და არცთუ წარუმატებლად, მაგრამ ძალიან მწყდება გული, რომ ვერ მოვახერხე ბოლომდე გაყოლა, ამიტომ ახლა მხოლოდ დილეტანტის დონეზე შემიძლია წარვსდგე მაყურებლის წინაშე. არადა, მე არა მარტო პოეტი, არამედ პიანისტი, მომღერალი და მსახიობიც ვიქნებოდი. დღეს კი ეს ყველაფერი იმდენად მჭირდება, რამდენადაც საჭიროა იმ ემოციური ფონის შესაქმნელად, რასაც მკარნახობენ ჩემივე სტრიქონები:

**„მე შევიშალე, როიალის**
**კლავიატურას**
**ამოვაცალე საღი კბილები...**
**სამგლოვიარო განცხადების**
**სევდიან ხაზებს დაემსგავსნენ**
**გადარჩენილი შავი ბგერები**
**და ჩინურმა პენტატონიკამ**
**გადაუარა ოთახის კედლებს".**

... ასე გადაუარა ხმამ, ლექსებმა, მოგონებების ნიაღვარმა მთელ დარბაზს იმ საღამოს. ალბათ, აქ შეიძლება მოვიყვანოთ ოდესღაც გიორგი ლეონიძის მიერ ცხინვალში ნათქვამი სიტყვები, როდესაც მან ერთი პატარა გოგონა აღმოაჩინა:

„ხალხო, ცხინვალელებო, თუ ეს პატარა გოგო თვითონ წერს ამ ლექსებს და არავინ ეხმარება, მაშინ იცოდეთ, რომ ნამდვილი პოეტი გეზრდებათ, თუ თვითონ წერს და არავინ ეხმარება, მზია ხეთაგურის დახმარება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელი არავინ შეუშალოს".

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, რაზე ოცნებობს დღეს მზია ხეთაგური? — უამრავზე. ამ უამრავს შორის გამორჩეული ოცნებაა, ჰქონდეს ერთი პატარა შენობა, სადაც ერთი მაყურებლის თეატრს გახსნის, რადგან მიაჩნია, რომ ჩვენ ყველანი ერთი ადამიანის, ანუ მაყურებლის წინაშე ვირგებთ და ვიხსნით ნიღაბს.

საღამო გვიანობამდე გაგრძელდა. დარბაზში ისეთი უჩვეულო, თბილი ატმოსფერო სუფევდა, რომ დაშლა არ გვინდოდა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული...



სამწუხაროდ, ეს ჩინებული საღამო ფირზე არავის აღუბეჭდავს, არადა, მონოლოგის თეატრის ბილეთზე წერია: „მხარი დაუჭირეთ ქართველ მწერლებს და ხელოვანებს, რომლებიც ქმნიან ეროვნული კულტურის შედევრებს..."

**ნანა სულავა**

⊙ **ლიტერატურული კურიერი**

## უნგრეთი

# პეტერ ესტერხაზი – თავის „სიტყვათა თეატრის" შესახებ

**ფრანკფურტის ბოლო წიგნის ბაზრობაზე გერმანული წიგნის გამომცემელთა მშვიდობის პრემია გადაეცა ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ უნგრელ პროზაიკოსს პეტერ ესტერხაზის. სულ მალე, ცერემონიის შემდეგ, ლაურეატმა ინტერვიუ მისცა შვეიცარიელ პოეტსა და კრიტიკოსს ილმა რაკუზას. საზეიმო ვითარების მიუხედავად ესტერხაზის არ წარმოუთქვამს „მყვირალა სიტყვები, რადგან, როგორც მან თანამოსაუბრეს განუცხადა, „ირონიული პასუხი" არასდროს ზედმეტი არ არისო". პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით იგი ყველაზე მეტად გაახარა იმ გარემოებამ, ჟიურის წევრებმა მწერლის შემოქმედება ესოდენ სერიოზული ჯილდოთი რომ აღნიშნეს, „გერმანული სერიოზულობა", პრინციპში, მის „უნგრულ არასერიოზულობასთან" შეთავსებადობად მიიჩნიეს.**

ერთი სიტყვით, პეტერ ესტერხაზის ბოლო წიგნი, მისი შესწორებული გამოცემა სერიოზული მოვლენა გახდა უნგრულ, და არა მარტო უნგრულ ლიტერატურაში. ავტორმა წიგნი დაწერა მას შემდეგ, რაც გაეცნო უნგრეთის ყოფილი უშიშროების სამსახურის არქივის დოკუმენტებს. მასალების გაცნობით ცნობილი გახდა, რომ მამამისი, რომელიც შვილისთვის მუდამ იდეალს წარმოადგენდა, სოციალიზმის პერიოდში დამსმენი ყოფილა. რა რეაგირება მოახდინა წიგნზე უნგრელმა მკითხველმა? რა განიცადა მან: შოკი თუ კათარზისი?



„წიგნის ზემოქმედება თავზარდამცემი იყო, — ამბობს ესტერხაზი. — მაგრამ, როგორც ამბობენ, — წარსულის დამძლევი არ გამხდარა. არც შეიძლება გამხდარიყო იმიტომ, რომ უნგრული საზოგადოება სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ მზად არ არის, დასკვნა გამოიტანოს საკუთარი ისტორიიდან".

ესტერხაზის პროზა მისმა უნგრელმა კოლეგამ იმრეკერტესმა დაახასიათა როგორც „სიტყვათა თეატრი", რადგან ნაწარმოების მთავარი გმირი ხდება თვით ენა. მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ მისი რთული წყობილების გამო (დამონტაჟების ტექნიკის გამოყენება, დროებითი პლასტების ერთმანეთში შერევა) მთავარ პერსონაჟად ენა წარმოგვიდგება. ესტერხაზის სტილისტურ მანერაზე გავლენა ხომ არ მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მან მათემატიკური განათლება მიიღო? თვით ესტერხაზის თქმით, მათემატიკაშიც და ლიტერატურაშიც მას ეხმარება „ფორმით, ფორმალიზაცით, ობსტრაქციით გატაცება. როდესაც ახალ წიგნს იწყებ, მთავარია იპოვო სწორი ტონი. ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაბულის მოგონება".

ცნობილია, რომ ესტერხაზი თავის რომანებში ფართოდ იყენებს ციტატებს. თვით ავტორი როგორ განმარტავს თავისი პროზის ამ თავისებურებას?

„აქ, შესაძლოა, თავი იჩინა ჩემმა რომანტიკულმა, ანუ, უკეთესია ვთქვა, ლიტერატურის ბავშვურმა აღქმამ, რომელიც გულისხმობს იმას, რომ წიგნები ერთმანეთთან დაკავშირებულია მეგობრული ურთიერთობით და მზად არიან დაიხსნან ერთმანეთი, — ამბობს მწერალი. როგორადაც უნდა იყოს, მადლობას ვწირავ ყველა წიგნს, რომლებიც დაეხმარენ ჩემს წიგნებს. საერთოდ კი ციტატების მოხმობაში უჩვეულო არაფერია. რაღაც აზრით, ყველაფერი, რასაც უნდა მივმართოთ, არის ციტატა, განმეორება. ინტერტექსტუალობა თანამედროვე ეპოქის გამოგონება როდია, თვით წინადადება მოქმედებს ასე: საქმე ის გახლავთ, რომ ფარულად გვაგზავნის სხვა მწერლების გამონათქვამებისაკენ. არც ერთი წინადადება თავისთავად არ არსებობს. ამიტომაც ნებისმიერ თანამედროვე რომანში სიტყვაც კი ყოველთვის არა, მაგრამ ოდნავ მაინც ეხმაურება ჯოისისეულ „ულისეს" ბოლო სიტყვას".

ილმა რაკუზე ხაზს უსვამს ესტერხაზის კეთილმოსურნეობას და წერს, რომ იგი ბედნიერი ადამიანია. მართლაც, სინამდვილეში ასეა ეს?

„უეჭველად ასეა, — დაეთანხმა მწერალი — სიმართლეა. კეთილმოსურნეობა მეუფლება მხოლოდ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, უფრო ზუსტად, საღამოს. მაგრამ, ვიდრე თქვენს კითხვას ამომწურავ პასუხს გავცემდე, გადასაწყვეტი მაქვს ერთი პატარა საკვლევი ამოცანა — მეცნიერული თვალსაზრისით განვსაზღვრო ბედნიერება. უკვე შევუდექი შესაბამის წინასწარ კვლევას, რომელიც სამუშაო დროის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს მართმევს..."

რა პასუხისმგებლობა ეკისრება მწერალ ესტერხაზის?

„ჩემს პასუხისმგებლობად მიმაჩნია ის, რომ შევქმნა ჩინებული პროზა — ამას მთელი სერიოზულობით ვაცხადებ. მხარს ვუჭერ ძველმოდურ, რამდენადმე ბუნდოვან წარმოდგენას ლიტერატურის, საერთოდ, სულიერი ცხოვრებისა და კერძოდ სულიერების შესახებ. მინდა ბოლომდე ჩემი მრწამსის ერთგული დავრჩე. სწორედ ეს მიმაჩნია პასუხისმგებლობად".

## კანადა

# ახალი კლასიკა

***რომელი** წიგნები შეიძლება კლასიკად ჩაითვალოს? აი უკვე ოცი წელია შესაშური ჯიუტობით კამათობენ ამ თემაზე კანადელი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები. მათი დისკუსია ეხება, ძირითადად, პოლიტკორექტულობის პრობლემებს — მაგალითად, ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ „ცოცხალ და გარდაცვლილ კლასიკოსთა კოჰორტას აშკარად აკლია ქალები და უმცირესობის წარმომადგენლები".*

ცნობილი გამომცემლობა „პინგვინის" კანადის განყოფილების ხელმძღვანელები ამ საკითხს უფრო ტრადიციულად იხილავენ. მათი აზრით, წიგნად, რომელმაც დროს გაუძლო, ის წიგნი, რომელიც ხელახლა ისტამბება მინიმუმ ოცი წლის მანძილზე. 1970 წლიდან გამომცემლობა უშვებს სერიას „თანამედროვე კლასიკა". დღეისთვის იგი შეიცავს 175 დასახელების წიგნს, მათ შორის ი. ვოს, ჯ.პ. ლოურენსის, ს. ბელიუს, ფიცჯერალდისა და სტეინბეკის რომანებს. წიგნები გამოდის ლამაზი ვერცხლისფერი ყდით, თითოეულ მათგანს ახლავს ცნობილი კრიტიკოსის ვრცელი წინასიტყვაობა. სერიის ერთადერთი ნაკლია ის, რომ მათში წარმოდგენილნი არ არიან კანადელი ავტორები.

ახლახან „პინგვინმა" სცადა გამოესწორებინა ეს ხარვეზი და „თანამედროვე კლასიკაში" შეიტანა ოთხი კანადელი მწერლის ცხრა ნაწარმოები.

ესოდენ დიდი პატივი წილად ხვდათ უდიდეს კანადელ მწერლებს: ელის მანროს, მორდეკაი რიხლერს, რობერტსონ დევისსა და ტიმოთი ფინდლის.

# მარგარეტ ეტვუდის გამოგონება

***როგორც** ჩანს, ბუკერის პრემიის ლაურეატი მარგარეტ ეტვუდი დაღალა მსოფლიოში მოგზაურობამ და მკითხველთა ყურადღებამ, და გადაწყვიტა ოდნავ შეიმსუბუქოს ცხოვრება, ამიტომ გამოიგონა მოწყობილობა, რომელიც ავტოგრაფის მიცემის საშუალებას იძლევა, თანაც შინიდან გაუსვლელად. მოწყობილობის დახმარებით კანადელი მწერალი ქალი აპირებს ავტოგრაფი დაურიგოს არა მარტო თანამემამულეებს, არამედ საზღვარგარეთ მცხოვრებ მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს. იდეა, როგორც ეტვუდმა განაცხადა, თავში მოუვიდა გასულ გაზაფხულზე, როდესაც დიდ ბრიტანეთში წარადგინა თავისი გახმაურებული რომანი „ორიქსი და კორისტელი" — ანტიუტოპია, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის უკანასკნელ დღეებს ასახავს.*

ეტვუდის მიერ გამოგონილი ხელსაწყო შემდეგნაირად იმოქმედებს: მკითხველი წიგნს ჩადებს კომპიუტერთან მიერთებულ სპეციალურ მისადგამში, მწერალი თითს აჭერს ღილაკს და პირველ გვერდზე გამოჩნდება ელექტრონული კალმით გამოყვანილი ფაქსიმილური მიძღვნა.

გამომგონებლის აზრით, ავტოგრაფების ელექტრონული განმანაწილებელი შესაძლოა მეტად სასარგებლო გამოდგეს დამწყები ავტორებისათვის, რათა მოაგვარონ მკითხველებთან აგენტების დაუხმარებლად კავშირურთიერთობა.

⊙ **ინფორმაცია**

## საფრთხე მომავალი წლის ბოლომდე არსებობს

**საქართველოში** ფრინველის გრიპის გავრცელების საფრთხე მომავალი წლის ბოლომდე არსებობს.

გუშინ პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომიტეტმა ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობა განიხილა და ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ინფორმაციას მოუსმინა.

როგორც ჭიპაშვილმა განაცხადა, ჯანდაცვის სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ფრინველის გრიპის საწინააღმდეგოდ ღონისძიებები დაგეგმოს და განახორციელოს. მათ შორის ჭიპაშვილმა მსოფლიოში ერთ-ერთ წარმატებულ ფარმაცევტულ კომპანია „როშესთან" გაფორმებული ხელშეკრულება დაასახელა, რომლის მიხედვითაც საქართველო მომავალი წლის შემოდგომამდე ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატებს მიიღებს.

— „როშესთან" ხელშეკრულება 100 ათასი სამკურნალი დოზის მოწოდებაზე გაფორმდა. თითო დოზის შეძენისთვის საქართველოს მთავრობამ 7 ევრო გადაიხადა, — განაცხადა ჭიპაშვილმა.

## ახალი ფლიგელი ავადმყოფი პატიმრებისთვის

**საქართველოს** იუსტიციის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა კოტე კემულარიამ და ლადო ჭიპაშვილმა გუშინ თბილისის მე-5 საავადმყოფოს ტერიტორია დაათვალიერეს, სადაც, სპეციალურად დაცულ ფლიგელში, ციხიდან გადაყვანილი მძიმე ავადმყოფები განთავსდებიან.



როგორც კოტე კემულარიამ საავადმყოფოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების გაუქმების პროცესი 2007 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა ციხის საავადმყოფოში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, პროცესების დაჩქარება აუცილებელი გახდა. მისივე თქმით, უკვე გაუქმდა იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი, ამჟამად კი თბილისის მე-5 საავადმყოფოს შენობაში, დაახლოებით 800 კვ. მერტის ფართობი გამოიყო, რომელიც უსაფრთხოების სისტემით აღიჭურვება და 40-50 მძიმე ავადმყოფზეა გათვლილი. „უსაფრთხოებისა და დაცვის სისტემისთვის განკუთვნილ ყველა პირობაზე იუსტიციის სამინისტრო იზრუნებს, ხოლო მკურნალობის პროცესებზე — ჯანდაცვის უწყება", — განაცხადა კემულარიამ.

## ქალებმა ხმა აღიმაღლეს

**„ქალთა** ერთობა მშვიდობისათვის" აქტივისტებმა გუშინ გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციის 5 წლისთავის აღსანიშნავად თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მშვიდობიანი აქცია გამართეს და ხელისუფლებისგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოითხოვეს.

თბილისში „ქალთა ერთობა მშვიდობისათვის" ქალთა მშვიდობიანი აქცია გმირთა მოედანზე დაიწყო. თეთრმაისურიანმა ქალებმა ქვეყნის ერთიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მაისურებზე გამოსახული ასოებისგან დაწერეს ფრაზა : „ქალთა ერთობა მშვიდობისათვის", რის შემდეგაც მშვიდობიანი მარშით პარლამენტის შენობასთან მივიდნენ და მდუმარე აქცია გამართეს.

მათ პარლამენტარებს შეახსენეს „ქალთა ერთობა მშვიდობისათვის" არსებობა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში თავიანთი დამოკიდებულება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ არქიტექტურა

# „ოქროს კაპიტელი“ ხუროთმოძღვარ ძმებს და მამა-შვილს

**არქიტექტურის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თბილისში, „ექსპო-ჯორჯიას“ საგამოფენო კომპლექსში, 12-15 ოქტომბერს პირველი საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი გაიმართა. გამოფენას ამშვენებდა ხუთი ქვეყნის — საქართველოს, რუსეთის, ბელარუსის, სერბეთის და ხორვატეთის ხუროთმოძღვართა ნამუშევრები.**


საცხოვრებელი სახლი ქობულეთის ქუჩაზე.

გამოფენის ბოლო დღეს სამოცდასამი არქიტექტურული ნაწარმოები შეაფასა კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში კონკურსის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. მაშასადამე, ჟიურის წევრი გამოფენის ერთ-ერთი თანაავტორიც იყო. ყოველ მათგანს უნდა შეერჩია, მისი თვალთახედვით სამი საუკეთესო ნაწარმოები, ოღონდაც, სიტყვას ვერ დაძრავდა საკუთარ ნამუშევარზე. ეს არის შეფასების ეგრეთ წოდებული ბერძნული მეთოდი, რომელმაც საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ხელმძღვანელობის აღიარებით, ერთობ გაამართლა, — გამარჯვებულთა ვინაობა და შეფასების ობიექტურობა ეჭვს აღარ იწვევდა.

ნომინაციაში — რეალიზებული არქიტექტურული ნაწარმოები (პროექტი, მშენებლობა, დიზაინი), პირველი ადგილი და შესაბამისად, „ოქროს კაპიტელი“ დაიმსახურეს არქიტექტორმა ძმებმა ვასილ და გივი ქობულიებმა საცხოვრებელი სახლისთვის თბილისში, ქობულეთის ქუჩაზე. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ძმები ქობულიების ამ ნაწარმოებმა გაიმარჯვა აგრეთვე საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წლის პროფესიულ კონკურსში, — ნომინაციით — „მოცულობითი არქიტექტურა“, ხოლო წლის საუკეთესო არქიტექტურული პროექტების ნუსხაში და ნომინაციაში — „ინტერიერი“ ასევე, პირველი ადგილი და საპატიო დიპლომი მიიღო იგივე ავტორების პროექტებმა — „სააგარაკო სახლი დაბა წყნეთში“ და დუპლექსის ტიპის ბინამ ყიფშიძის ქუჩაზე. როგორც კოლეგები ამბობდნენ, ასეთი უხვმოსავლიანი წელი არქიტექტორ ძმებს ჯერ არ ჰქონიათ. სასიამოვნოა, რომ მალე „შპს ქობულიები და პარტნიორები“ პერსონალურ გამოფენას ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში — ქარვასლაში მოაწყობენ.


სააგარაკო სახლი დაბა წყნეთში.
პროექტის ავტორები ვასილ და გივი ქობულიები.

„ოქროს კაპიტელის“ წლევანდელ ლაურეატებში კიდევ ერთი არქიტექტურული ოჯახის სახელი კიაფობს: ეს საერთაშორისო ჯილდო მამა-შვილმა ლადო და გიორგი ხმალაძეებმა მიიღეს შთამბეჭდავი პროექტისთვის — დრამატული თეატრი 450 მაყურებელზე ქალაქ ფოთში.

„ვერცხლის კაპიტელის“ მფლობელნი გახდნენ რუსეთელ არქიტექტორთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ა. ჩერნიხოვი) მოსკოვში მრავალფუნქციური სავაჭრო-გასართობი ცენტრის უკვე რეალიზებული პროექტისთვის და ბელარუს არქიტექტორთა ჯგუფი (ხელმძღვანელი ო. ვორობიოვი), მინსკში ადმინისტრაციულ-სავაჭრო კომპლექსის ორიგინალური პროექტისთვის.

„ბრინჯაოს კაპიტელი“ დაიმსახურეს ანდრო ფეტვიაშვილმა და სანდრო ღოლოძემ დილმის ყოფილი საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განხორციელებისთვის და ქართველ არქიტექტორთა ჯგუფმა (გივი შავდია, მერაბ ბოლქვაძე, დავით ჩიქოვანი, ბესო ტატიშვილი, ზაზა მათიაშვილი, გელა კობიაშვილი, კახა მაჩაიძე, ზურაბ ნიკოლაიშვილი) ბაგებში ახალი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტისთვის.

სამშენებლო კომპანიებს შორის საქართველოს არქიტექტორთა წლის პროფესიულ კონკურსში გაიმარჯვა კომპანია „იბერიამ“ საცხოვრებელი სახლების ჯგუფისთვის ქალაქ თბილისში.

ნომინაციაში — „რესტავრაცია-რეკონსტრუქცია“ საუკეთესოდ ცნეს „თი-ბი-სი“ ბანკის რესტავრატორები — გ. კიკნაძე (ავტორი), თ. მიქაშავიძე (მთავარი არქიტექტორი), მ. სანაია, გ. კვერცხიშვილი (არქიტექტორები), ჰოლანდიელი პიტერ ჰუნსი (ინტერიერი).

არქიტექტორებისა და არქიტექტურის შესახებ წლის საუკეთესო პუბლიკაციებისთვის დიპლომი მიენიჭათ თეიმურაზ ბოჭორიშვილს („რექვიემი თბილისის ურბანული განვითარებისთვის“) და თინათინ ჩიჩუას სამეცნიერო სტატიისთვის „ჰერეკლე კეისრის ლაშქრობა თბილისში საქალაქთმშენებლო თავისებურებათა შუქზე.“

წლის საუკეთესო წიგნებად აღიარეს ავტორთა ჯგუფის (გ. ბერიძე, ვ. აფციაური, გ. ბათიაშვილი, გ. თუმანიშვილი, ზ. კიკნაძე, ბ. მამინაიშვილი, მ. ფოჩხუა, ნ. ჩაჩავა) სამეცნიერო-პოპულარული კრებული — „თბილისის განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები“ და ნინო მელიქიშვილის წიგნი — „კანონზომიერება არქიტექტურაში: უწყვეტად განვითარებადი არქიტექტურული სივრცე, უწყვეტად განვითარებადი შემოქმედებითი პროცესი — ერთიანი პროცესია“.

დიპლომი სასწავლო-მეთოდოლოგიური წიგნისთვის — „ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი“ მიენიჭა ჰამლეტ მოსულიშვილს.

ტრადიციისამებრ, არქიტექტორთა კავშირმა სტუდენტთა გამარჯვებული სადიპლომო ნამუშევრებიც გამოავლინა, თუმცაღა, ქართველ ხუროთმოძღვართა პროფესიულ დღესასწაულზე ისიც გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მომავალი წლიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტები სადიპლომო ნამუშევრებს არ დაიცავენ, რადგანაც... ამაში თურმე კორუფციის ნიშნები „მოჩანს“.

საინტერესოა, უკეთესს რას მოიფიქრებენ სამინისტროში? ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ხელმძღვანელები და პროფესორ-მასწავლებლები გაოცებას ვერ მალავენ, — სად სადიპლომო ნამუშევარი და სად კორუფციაო!..

პროფესიულ დღესასწაულზე საქართველოს ახალი დამსახურებული არქიტექტორების გვარებიც დაასახელეს. **ეს საპატიო წოდება ამჯერად წილად ხვდათ ზურაბ კოპალაძეს, ლერი გოშაძეს, თეიმურაზ ბოჭორიშვილს, ლევან ბოკერიას, თამაზ დალაქიშვილს, არჩილ მინდიაშვილს, ალბერტ ჯანელიძეს.**

**სოსო დონაძე**

◉ რეგიონებში ფხიზლობენ

# ღვინო ღვინოს აღარ ჰგავს, თამბაქო – თამბაქოს

## უკანონო მეწარმეობის სამი შემთხვევა

**შპს „ლაზიკას“ დირექტორი ვასილ ქვარაია ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელოს სამმართველოს თანამშრომლებმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში ამხილეს. გარდა ამისა, ასეთივე კანონდამრღვევები აღმოჩნდნენ ინდმეწარმე ეკა მოლაშხია და ტოტალიზატორ „777“-ის ხელმძღვანელი პირები. მათ მფლობელობაში არსებული ტოტალიზატორები ულიცენზიოდ ფუნქციონირებდნენ.**

აღსანიშნავია, რომ ტოტალიზატორის მოწყობისთვის ლიცენზიის გადასახადი სამი ათასი ლარია, გარდა ამისა, თითოეული სალარო ყოველთვიურად 300-დან 600 ლარამდე იბეგრება. შესაბამისად, ხსენებულ მეწარმეთა მიერ თანხების გადაუხდელობით ბიუჯეტს სოლიდური ზარალი მიადგა. ფინანსურმა პოლიციამ სამივე ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო.

## ოთხივე მძღოლს დააჯარიმებენ

**ფინანსური პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა აღურიცხავი საქონლით დატვირთული ოთხი ავტომანქანა დააკავეს. მძღოლებმა პოლიციის თანამშრომლებს ტვირთის წარმომავლობასთან დაკავშირებით ვერანაირი საბუთი ვერ წარუდგინეს. ავტომანქანები, ძირითადად, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საქონლით იყო დატვირთული.**

დაკავებული ავტომანქანები ტერმინალში გადაიყვანეს, ტვირთს კი სამართალდამრღვევების მიმართ ჯარიმის ოდენობის დასადგენად, ექსპერტიზა უტარდება.

## ღვინოა თუ „მჟავების თაიგული“?

**პროდუქციის ფალსიფიცირების კიდევ ერთი ფაქტი გამოავლინეს ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა. საქმე ეხება ინდმეწარმე „კარლო რევაზიშვილს“, რომლის საწარმო, წინასწარი მონაცემებით, ფალსიფიცირებულ ძეხვს ამზადებდა. ფინანსურმა პოლიციამ გამოძიება დაიწყო.**

როგორც ჩანს, ზოგ-ზოგებს სურვილი აქვთ კახურ ღვინოს სამუდამოდ გაუტეხონ სახელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელია იმის თქმა, თუ რატომ კადრულობს ზოგი ჩვენი თანამემულე ღვინოსთან ასე დაუნდობლად, მართლაც რომ ბარბაროსულად მოპყრობას.

ასევე კახეთის სამმართველომ ღვინო-მასალის ფალსიფიკაციის ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ის გახლავთ, რომ სიღნაღის რაიონის სოფელ წნორის მკვიდრის მილორდ ნადირაშვილის სამოსახლო ნაკვეთში... ღვინის ქარხანა ჰქონდა მოწყობილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ „ქარხნიდან“ ღვინომასალა, შაქრის ფხვნილი, ლიმონმჟავა და გოგირდის ანჰიდრიდი ამოიღო. საინტერესო გარემოება კი ის გახლავთ, რომ ეს „ღვინის“, ასე ვთქვათ, ინგრედინტებიც, როგორც ვარაუდობენ, ფალსიფიცირებულია. ყველა სიკეთესთან ერთად, მ. ნადირაშვილს ღვინის წარმოებისთვის აუცილებელი არანაირი ნებართვა არა აქვს.





## თავისას არ იშლიან

**უაქციზო სიგარეტით ფულის შოვნის მსურველთა რიცხვი, როგორც ჩანს, კანონმდებლობის გამკაცრების მიუხედავად, არ მცირდება. ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის რამდენიმე ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება დაიწყეს.** გია ლაფაჩსა და ვაჟა ნიკორაშვილს 4,3 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩნდათ; ბადრი ტეტუნაშვილს — 3 ათასი კოლოფი რუსეთის წარმოების უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა, 6 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი კი ჯერჯერობით დაუდგენელ პირს მიჰქონდა გასაყიდად. ოთხივე კანონდამრღვევი ცხინვალის რეგიონიდან შიდა ქართლის მიმართულებით გადაადგილდებოდა.

გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ნიკოლოზ ტლაშაძეს 2,1 ათასზე მეტი კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოუჩინეს; იმერეთის სამმართველომ 4,3 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ბრალდებით ბადრი ემანუელიძე დააკავა; ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გივი სოსელია დაახლოებით 5 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადმოტანისას დააკავეს.

ყველა აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

**ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# ევროკავშირი მოვლენათა უარესი განვითარებისთვის ემზადება

**ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროთა წარმომადგენლები გამართავენ მორიგ შეხვედრას, რომელზეც განიხილავენ, თუ როგორ აიცილონ თავიდან ევროპაში ფრინველის გრიპის გავრცელება, და რა გააკეთონ იმ მიზნით, თუ დაავადება ადამიანებს გადაედება ფრინველებისგან.**



ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფრინველის გრიპი გამოჩნდა რუსეთის ევროპულ ნაწილში, კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას, თუმცა, ევროპელი სახელმწიფო მოხელეები აღნიშნავენ, რომ ვითარება შორს დგას კრიტიკულისგან.

მაგრამ ხუთშაბათს, ტაილანდიდან იტყობინებოდნენ, რომ ფრინველის გრიპით გარდაიცვალა ამ ქვეყნის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები, რომელმაც შეჭამა ვირუსით დაავადებული ქათმის ხორცი. საავადმყოფოში ფილტვების ანთების დიაგნოზით მოათავსეს მისი შვიდი წლის ვაჟი. ტაილანდში ეს ვირუსის შედეგად ადამიანის გარდაცვალების უკვე მეცამეტე შემთხვევაა. სულ კი აზიის ქვეყნებში ვირუსს ემსხვერპლა 66 კაცი და დაავადებულთა შორის სიკვდილიანობის დონე ძალზე მაღალია — 50 პროცენტზე მეტი.

ევროკომისიის წარმომადგენელმა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში მარკოს კიპრიანუმ ჯერ კიდევ სამშაბათს განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობათა ხელისუფლებები არ არიან მზად გრიპის შესაძლო ეპიდემიისთვის, და აღნიშნა, რომ ამ დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის ძალისხმევის გაერთიანება.

თათბირზე, განიხილავენ გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატების მკვეთრად გადიდების და მოსახლეობაში მათი გავრცელების, აგრეთვე, გრიპის წინააღმდეგ ვაქცინის შექმნის საკითხებს.

ბრიტანეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ აპირებს ორ-ორი დოზა ვაქცინით უზრუნველყოს ქვეყნის ყოველი მცხოვრები და შესთავაზა ფარმაცევტულ კომპანიებს, შემოიტანონ განაცხადები წამლების შესაქმნელად. ბრიტანელებს დასჭირდებათ 120 მილიონი დოზა ვაქცინა, მაგრამ მთელი პრობლემაა ის, რომ საიმედო პრეპარატის წარმოება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი ეპიდემიის ვირუსის დადგენის მომენტიდან, გავა ნახევარი წელი. ვაქცინის წარმოება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ H5N1 ფრინველის გრიპის ვირუსი შეერწყმება „ჩვეულებრივი“ გრიპისას, წარმოიქმნება ახალი ვირუსი, რომელიც ადამიანიდან ადამიანს ადვილად გადაეცემა.

# სადამ ჰუსეინი თავს ბრალეულად არ ცნობს

**ბაღდადში მიმდინარე სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესზე გამოცხადდა შესვენება 28 ნოემბრამდე. პირველი სხდომა სამ საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა.**

მოსამართლემ წაიკითხა ერაყის პრეზიდენტისა და კიდევ შვიდი განსასჯელისადმი წაყენებული ბრალდებები. თუ ამ პირებს დაუმტკიცდებათ ადამიანების მკვლელობებსა და წამებაში წაყენებული ეს ბრალდებები, თქვა მოსამართლემ, შესაძლოა, მათ გამოუტანონ სიკვდილით დასჯის განაჩენი. თუმცა, სადამ ჰუსეინმა აღნიშნა, რომ იგი თავს ბრალეულად არ ცნობს.



როცა მოსამართლემ სადამ ჰუსეინს უწოდა „ერაყის ყოფილი პრეზიდენტი“, სადამმა ამის პასუხად განაცხადა, რომ იგი კვლავ ქვეყნის პრეზიდენტია.

ერაყის ყოფილი ლიდერის თქმით, იგი არ აპირებს დაემორჩილოს „ამ ეგრეთ წოდებულ სასამართლოს“ და უნდა ისარგებლოს თავისი კონსტიტუციური უფლებებით, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა. „მე არ ვცნობ არც იმ ორგანოს, რომელმაც დაგნიშნათ თქვენ მოსამართლედ და მოგანიჭათ უფლებამოსილებანი, არც შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი საერთაშორისო ძალების აგრესიას, რადგან, ყოველივე ის, რაც ეფუძნება უსამართლობას, არ არის სამართლიანი“, — თქვა სადამ ჰუსეინმა.

სადამის ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ შესვენება საქმის მოსმენაში გამოაცხადეს მათი თხოვნით, რათა დაცვას ჰქონდეს შესაძლებლობა, უკეთ მოემზადოს პროცესისთვის. მაგრამ როგორც რეიტერის სააგენტოსთან საუბრისას განაცხადა რიზგარ მოჰამედ ამინმა, მთავარი მიზეზი იყო ის, რომ მოწმეები არ გამოცხადებულან სასამართლო დარბაზში.

„მათ ძალზე ეშინიათ მისცენ ჩვენებები საჯარო პროცესზე. ჩვენ ამ საკითხზე ვიმუშავებთ მომავალი სხდომების დროს“, — თქვა მოსამართლე ამინმა.

# მოკლედ



**ნაღმსატყორცნის** ჭურვი აფეთქდა ერაყის დედაქალაქის ცენტრში მდებარე დაწყებითი სკოლის ერთ-ერთ კლასში. სკოლის შენობისთვის ნაღმსატყორცნის ცეცხლის დაშენის შედეგად დაიღუპა ხუთი მოსწავლე, 20 ბავშვი კი — დაიჭრა.

* * *

**პენტაგონის** შეფი შეშფოთებულია ჩინეთის სამხედრო ხარჯების ზრდის გამო. პენტაგონის მოხსენების თანახმად, ჩინეთის სამხედრო ბიუჯეტი მიმდინარე წელს 90 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ერთისამად აღემატება ოფიციალურად დაფიქსირებულ ციფრს. თუმცა, ჩინეთის თავდაცვის მინისტრის თქმით, ეს გამორიცხულია, რადგან პეკინი ძირითად ძალისხმევას ახმარს ქვეყანაში სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლას.

* * *

**სიმფეროპოლის** სასამართლომ მიიჩნია, რომ აზერბაიჯანის პარლამენტის ყოფილი სპიკერის რასულ გულიევის დაპატიმრებისთვის აზერბაიჯანის მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები არ არის სათანადოდ გაფორმებული. თუმცა, ყირიმის პროკურატურა მოითხოვს გულიევის 40 დღით დაპატიმრებას, რათა გადაწყდეს სამშობლოში მისი ექსტრადიციის საკითხი.

* * *

**ესტონეთის** მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი სახით არ დაუჭიროს მხარი კანონპროექტს ესტონეთის თავისუფლებისთვის



მებრძოლებად იმ პირთა ცნობის შესახებ, რომლებიც მონაწილეობდნენ „შეიარაღებულ ბრძოლაში საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ“. იგულისხმებიან, ეგრეთ წოდებული, „ტყის ძმები“. ქვეყნის პარლამენტს დაევალა განაგრძოს მუშაობა კანონპროექტის დახვეწის მიზნით.

* * *

**ჩეინის** და რამსფელდს საიდუმლო შეთქმულებაში ადანაშაულებენ. ვიცე-პრეზიდენტისა და პენტაგონის მეთაურის ასეთი საიდუმლო მოქმედების მაგალითე-



ბის სახით, შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ყოფილმა თანაშემწემ დაასახელა ის, რომ შეერთებული შტატები ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარს აცხადებდა ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთმოქმედებაზე, აგრეთვე, არ უჭერდა მხარს ირანის საკითხის მოგვარების თაობაზე ევროპის სახელმწიფოთა მიერ გაღებულ ძალისხმევას.

# სასამართლომ კონგრესმენის დაპატიმრების ორდერი გასცა

**ტეხასის შტატის სასამართლომ გასცა კონგრესმენ ტომ დელეის დაპატიმრების ორდერი, რომელიც ჯერ კიდევ ამ ბოლო ხანებამდე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ ფრაქციას შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში.**

„ტეხასის შტატის ყველა შერიფს და სამართალდამცავ ორგანოთა სხვა თანამშრომლებს ევალებათ დააკავონ ტომას დეილ დელეი და გადასცენ იგი ტრევისის საგრაფოს 331-ე საოლქო სასამართლოს“, — ხაზგასმულია დოკუმენტში.

კონგრესმენის ადვოკატებმა წინდის სახით შეიტანეს 10 ათასი დოლარი და დელეი არ დაუკავებიათ, მაგრამ მას მაინც მოუწევს პარასკევს სასამართლოში გამოცხადება, რომელიც განიხილავს საქმეს, ეგრეთ წოდებული, „ფულის გათეთრების“ შესახებ.

დელეის ადვოკატებს იმედი ჰქონდათ, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა. სასამართლოს მიერ კონგრესმენის დაპატიმრების ორდერის გაცემა ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეკავა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოსტი ამერიკის სახელისუფლებო იერარქიაში, იძულებული იქნება ჩააბაროს თითის ანაბეჭდები და გადაიღოს ფოტოსურათები პოლიციის კარტოთეკისთვის. დელეის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ეს ჩვეულებრივი პროცედურაა, თუმცა, საჯარო ეფექტი შეიძლება ძალზე დიდი აღმოჩნდეს.

დელეიმ დატოვა ფრაქციის ხელმძღვანელის პოსტი მას შემდეგ, რაც სექტემბრის დამლევს მას ბრალად დასდეს პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების შესახებ ტეხასში მოქმედი კანონის დარღვევა. პროკურორები ამტკიცებენ, რომ დელეის მიერ შექმნილი რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი კომიტეტი სარგებლობდა მნიშვნელოვანი კორპორაციული შემოწირულობებით, ამას კი შტატის კანონი კრძალავს.



ნობელი — 2005

# სამნი

**თეოდორ ჰენში, 63 წლისა, მაქს პლანკის ინსტიტუტიდან (გერმანია), ჯონ ჰოლი, 71 წლისა, კოლორადოს უნივერსიტეტიდან (აშშ), როი გლაუბერი, 80 წლისა, ჰარვარდის უნივერსიტეტიდან (აშშ) — ეს სამი ფიზიკოსი კვანტური ოპტიკის დარგში შესრულებული გამოკვლევებისთვის გამოარჩია ნობელის კომიტეტმა.**

ამათ შორის ცოცხალ კლასიკოსად ითვლება უხუცესი როი გლაუბერი, რომელმაც „სანობელო" ნაშრომები ჯერ კიდევ 1963 წელს გამოაქვეყნა. ეს ის ეპოქა გახლავთ, როცა თანამედროვე კვანტური თეორია ყალიბდებოდა და ახლა გაუგებარიც კია, რატომ ადრე არ მისცეს გლაუბერს პრემია. ეს ხომ სწორედ მან გაიანგარიშა, რომ სინათლის ნაწილაკები — ფოტონები სინათლის სხივში ურთიერთქმედებენ და ისიც, თუ რა ემართებათ ფოტონებს, როცა სინათლე ზედაპირს ეცემა.

ამ სწავლულამდე სიტუაცია ფიზიკის ამ სფეროში უცნაური იყო. ერთის მხრივ, ყველამ იცოდა, რომ სინათლე ნაწილაკებისგან შედგება (აქვე სათქმელად, აინშტაინს ნობელის პრემია სწორედ სინათლის ნაწილაკებისთვის მიენიჭა — ფოტოელექტრული ეფექტის აღმოჩენისთვის და არა ფარდობითობის თეორიისთვის, როგორც ხშირად ჰგონიათ). მეორე მხრივ, ოპტიკაში ყველა აუცილებელი გამოთვლა ძველებურად კეთდებოდა — თითქოს არავითარი ნაწილაკები არ არის, მხოლოდ ელექტრომაგნიტური ტალღებია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ლაზერები გამოჩნდა და ცხადი გახდა, რომ ეს ტალღები რაღაც უცნაურად იქცევიან. ვთქვათ, ჩართეს ლაზერი და ორხვრელიან ეკრანზე მიმართეს; სხივი, რასაკვირველია, ორად გაიყოფა, მაგრამ უცებ ირკვევა, რომ გაყოფის შემდეგ ეს ორი სხივი მაინც ერთიანი სხივით იქცევა — თუ ერთს გზაზე დაბრკოლება ელობება, მეორეც იცვლება; თუმცა, იმათ შორის კავშირი თითქოს არ არის... ასეთი და არაერთი სხვა ექსპერიმენტის შედეგი ვერ უთავსდებოდა სინათლის ტალღურ თეორიას.

გლაუბერმა მოახერხა ახსნა, თუ რა ხდება. აღმოჩნდა, რომ სინათლე, ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, ნაწილაკებისგან შედგება, მაგრამ მეორეს მხრივ — ეს ნაწილაკები, თავისთავად, პატარა ტალღებია. ჩვეულებრივ სინათლეში ყველა ტალღა-ნაწილაკი სხვადასხვაა, ლაზურ სხივში კი — ერთნაირია, თანაც ერთმანეთთან შებმული და ამიტომაც უჩვეულოდ იქცევიან.

მას აქეთ, რაც როი გლაუბერმა თავისი თეორია შექმნა, 40 წელზე მეტი გავიდა და ახლა უკვე ძნელი მოსაძებნია ოპტიკის ისეთი დარგი, სადაც ის არ გამოიყენებოდეს (თუნდაც ჰოლოგრაფია და ლაზერული დისკები გავიხსენოთ). კაცმა რომ თქვას, წლევანდელი პრემიის მეორე ნახევარს ჯონ ჰოლი და თეოდორ ჰენში სწორედ გამოყენებაში მიიღებენ — იმ ზეზუსტი ლაზერების კონსტრუირებისთვის, რომლებიც მრავალი მეცნიერული განზომილებით ჰპოვებენ გამოყენებას. საინტერესოა, რომ თავიანთი ლაზერები ჰოლმა და ჰენშმა საბოლოოდ ახლახან დაამუშავეს — ჯერ კიდევ 2000 წელს იყო შეტანილი კონსტრუქციაში პრინციპული ცვლილებები; ასე რომ, ამჟამინდელმა პრემიამ გააერთიანა ძველი თეორია და უახლესი საინჟინრო დამუშავებანი.

რა პერსპექტივები აქვს პრემირებულ ნაშრომებს? მოგვყავს რამდენიმე მათგანი.

**1. ზეზუსტი საათები და მეტრის ეტალონი.**

**2. მატერიასა და ანტიმატერიას შორის განსხვავების შესწავლა, რასაც ენერგიის ახალ წყაროებზე შეუძლია გაყვანა.**

**3. კვანტურ გრავიტაციაში ექსპერიმენტებს შეუძლიათ სამყაროზე წარმოდგენების შეცვლა და „პოსტაინშტაინურ ფიზიკაზე" მიყვანა.**

**4. კვანტური ტელეპორტაცია — ინფორმაციის წამიერი გადაცემა დიდ მანძილებზე.**

**5. კვანტური კომპიუტერი — ჩვეულებრივზე მილიონჯერ მეტი სწრაფქმედება.**

**6. სამგანზომილებიანი ჰოლოგრაფიული ტელევიზია.**



თეოდორ ჰენში



ჯონ ჰოლი



როი გლაუბერი

ბიბლიური საზოგადოება

# ჩვენი ცხოვრების პირველი წიგნი

**ჩვენს თაობას, რომელსაც კომუნისტურ ეპოქაში მოგვიხდა განათლების მიღება, თითქმის ყოველგვარ ლიტერატურაზე მიგვიწვდებოდა ხელი, „ბიბლიის" გარდა. ამიტომაც, უკვე უფროსკლასელები, გულმოდგინედ ვცდილობდით, გაგვეცნო „აკრძალული" წიგნები. მახსოვს, როგორი კრძალვითა და გატაცებით ვკითხულობდით ძველ, ფურცლებგაცრეცილ საბინინის „საქართველოს სამოთხეს", რომელსაც ჩვენმა აწ გარდაცვლილმა მეგობარმა მამუკა დონაძემ მამის მდიდარ ბიბლიოთეკაში მიაგნო...**

**ახლა კი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ღვთის წყალობით, „ბიბლია" თითქმის ყველა ჩვენგანის ოჯახში საპატიო წიგნია. მას ახლა ჩვენი წინაპრების მსგავსად, ერთნაირი გულისყურითა და სიყვარულით ვეცნობით დიდი და პატარა. ადრე კი, გამოგიტყდებით, რომ „ბიბლია" მხოლოდ საეკლესიო მსახურთა, ავადმყოფთა და ღრმად მოხუცებულთა საკითხავი წიგნი მეგონა...**

**მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ „ბიბლიას" ძალიან დიდი ადგილი ეჭიროს ქართველ მართლმადიდებელთა შემეცნებაში, — ჩვენთან, რატომღაც, მასიურად არ კითხულობენ ცხოვრების ამ უპირველეს წიგნს.**

**მსოფლიოში უკვე ორ საუკუნეზე მეტია, რაც არსებობენ „გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები", რომელთაგან პირველიც ინგლისში შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ 1917 წელს რევოლუციამდელ საქართველოშიც არსებობდა ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენლობა, რომელიც თბილისში გოლოვინის №35-ში მდებარეობდა. მათ ჰქონდათ წიგნის მაღაზია და საწყობი...**

**და აი, 1998 წლიდან თბილისში კვლავ დაარსდა კავშირი „ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენლობა", რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი ავთანდილ გურული. კავშირის ოფისი გამსახურდიას №35-ში მდებარეობს.**

**ვის ემსახურება ეს საზოგადოება, რა კავშირი აქვს ქართულ ეკლესიასთან და რა არის მათი პრიორიტეტები? — აი, კითხვები, რომლებითაც მივმართეთ ავთანდილ გურულს და რომელზეც მან ასე გვიპასუხა:**

— არაფერია „ბიბლიის" ტექსტზე მნიშვნელოვანი. ჩვენ ვმუშაობთ ქართულენოვან პროექტებზე. პრიორიტეტებს თვითონვე ვირჩევთ, ძალდატანებით არავინ არაფერს გვაძალებს. გარდა ამისა, სხვა ქვეყნებიდან ვიძენთ უცხო ენებზე დაბეჭდილ „ბიბლიას". ჩვენს მაღაზიაში 100-ზე მეტ ენაზე გამოცემული წიგნი გვაქვს.

ხალხმა რეალურად აღიქვა ჩვენი საზოგადოება. ვინც კითხულობს და ჩვენთან იძენს „ბიბლიას", იმათგან უამრავი მადლობა მოგვდის. ახლაც მსხვილი შრიფტით უცხოეთში, შედარებით იაფად და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, ქართულ ენაზე ვბეჭდავთ ფსალმუნებს მხედველობადაქვეითებულთათვის. წიგნი უკვე ნოემბერში ჩამოვა და, ვფიქრობ, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი.

ჩვენი მოვალეობაა ვემსახუროთ ქართულ ეკლესიას. ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მისთვის იქნება მისაღები. დღეისთვის ლიტურგიისთვის გამოიყენება ძველ ქართულ ენაზე დაბეჭდილი ტექსტები. ამასთან, უნდა ვთქვათ, რომ პრიორიტეტი დღევანდელი ქართული ენაა, რათა ტექსტები უფრო ადვილად გასაგები გახდეს ყველა დონის მკითხველისთვის.

**— ბატონო ავთანდილ, ვინ ყიდულობს ძირითადად „ბიბლიას", არიან თუ არა მათ შორის სხვა აღმსარებლობის ადამიანები და თუ საიდუმლო არ არის, რომელია თქვენი სარწმუნოება?**

— მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და, თანაც, კომუნისტების დროს სვეტიცხოველში მონათლული (ღიმილი). რაც შეეხება წიგნებს, უფრო მეტად ქართულენოვან გამოცემებს ყიდულობენ. იძენენ როგორც ეკლესიის მსახურნი, ასევე მრევლი და ყველა ამ საკითხით დაინტერესებული პიროვნებები. გარდა ამისა, „ბიბლიას" ყიდულობენ სხვადასხვა მრწამსის და აღმსარებლობის წარმომადგენლები, მათ შორის შეიძლება იყვნენ კათოლიკებიც, პროტესტანტებიც და სხვათა შორის, იეღოველებიც, რადგან ეს ტექსტი ყველასთვის საერთოა.

ასევე კარგად იყიდება ინგლისურენოვანი გამოცემები, რომლებსაც დიდი ხნით აქ მცხოვრები უცხოელები იძენენ...

**— დაგვისახელეთ თქვენი მნიშვნელოვანი გამოცემები?**

— ბევრი აუცილებელი წიგნია. უპირველესად, „ბიბლიის" ენციკლოპედია, ე. წ. სამუშაო „ბიბლიები", „ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტთან" კი ერთობლივად ვიმუშავეთ 2002 წლის გამოცემაზე.

გარდა ამისა, გამოვა ფსალმუნების ახალი რედაქცია, ფსალმუნი კი, მოგეხსენებათ, უზუსტესი და ურთულესი სათარგმნია.

საზოგადოების მენეჯერი **ეკა ხორბალაძე** მათვალიერებინებს თაროებზე გამოფენილ „ბიბლიებს". აქ ნახავთ ფრანგულ, ინგლისურ, რუსულ, სომხურ და თქვენ წარმოიდგინეთ, ოსურ ენაზე თარგმნილ წიგნებსაც. აქვეა ბიბლიური საზოგადოების მიერ ქართულად გამოცემული სახარებები, 2004 წელს გამოცემული „ახალი აღთქმა", ლექსიკონები, სამეცნიერო და საბავშვო გამოცემები. ნახავთ ძველ ქართულ ენაზე გამოშვებულ „ახალ აღთქმას", რომელიც ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების 25, მღვდელმთავრობის 40 და დაბადების 70 წლისთავს!

მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული „ბიბლიის ატლასი", — იერუსალიმის მეგზური, ფერადი ილუსტრაციებით და რუკებით, იესო ქრისტეს მიერ ფეხდადგმული ადგილების მიმოხილვით და იერუსალიმის ძველი ნანგრევებისა და ისტორიული ძეგლების სურათებით...

ფასებიც ხელმისაწვდომია. „ახალი აღთქმა", რომელიც ყველაზე მეტი იყიდება, ღირს 7 ლარი, ტყავის ყდაში ჩასმული კი — 19. „ბიბლია" 18 ლარიდან 20 ლარამდეა. „საბავშვო ბიბლია" 6 ლარად შეგიძლიათ შეიძინოთ. ეს წიგნი დიდად პოპულარულია მოზრდილებში. ყველაზე ძვირფასი, ტყავის ყდაში ჩასმული წიგნის ფასი კი, ტექსტის კანონიკურობის მიხედვით, 70-78 ლარის ფარგლებშია...





**ლია ჭიღლაძე**

**სურათზე:** ავთანდილ გურული.

თარიღი

# ხანი ვერა გმლევს, თუ გული მხნეობს

## ალექსანდრე ფოცხიშვილი - 80

**ამთავითვე ვიტყვით: პროფესორ ალექსანდრე ფოცხიშვილი იმ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მეცნიერული ღვაწლის შეფასება, კვლევის პრობლემატიკისა და გასაშუქებელ საკითხთა მრავალფეროვნების გამო, საკმაოდ ძნელია. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს მისი, როგორც მეცნიერი მოღვაწის შეფასების კრიტერიუმს.**

დაიბადა 1925 წლის 13 სექტემბერს ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის თემის სოფელ წიფნაგვარაში.

ჭაბუკი ალექსანდრე ფოცხიშვილი იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წელს. სწავლისას მიიქცია აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ყურადღება, რომელმაც ასპირანტურაში სასწავლებლად მიიწვია იგი.

ზოგადენათმეცნიერული სწრაფვა ალ. ფოცხიშვილმა ასპირანტურაში სწავლის პერიოდში გამოამჟღავნა. ამ დაინტერესების ობიექტი იყო მეტყველების ნაწილები, რომელიც 1960 წელს გამოიცა წიგნად სათაურით: „ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან".

ნაშრომში მიმოხილულია მეტყველების ნაწილთა შესახებ არსებული უზარმაზარი სამეცნიერო ლიტერატურა, დაწყებული ანტიკური ხანიდან მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე. განსაკუთრებით დიდი ყურადღებაა დათმობილი, რუსული, ე. წ. ფორმალისტური სკოლის მოღვაწეობაზე, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა რუსმა ენათმეცნიერმა აკად. ფ. ფ. ფორტუნატოვმა.

იმ დროისათვის, როდესაც ალ. ფოცხიშვილმა ზემოაღნიშნული დისერტაცია დაიცვა, ფორტუნატოვის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე საუბარი არცთუ მომგებიანი იყო მისი ფორმალისტობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი დისერტაცია, რომლის ავტორეფერატი აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაშიც მოხვდა.

ბატონმა ალ. ფოცხიშვილმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარების გზები მე-19 საუკუნის I ნახევარში". იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია-გამოკვლევისა და 8 მონოგრაფიის ავტორია და დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე დღესაც წარმატებით იღვწის პროფესორის თანამდებობაზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე.

ალ. ფოცხიშვილის შემოქმედებითი მეცნიერული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გამოკვლევა: „პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის (ანტონ პირველის) შემოქმედებითი ნააზრევის გარშემო", რომელიც 1990 წელს გამოიცა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ პრობლემის წინ წამოწევით, ანტონ პირველის მეცნიერული მემკვიდრეობის სრულად შესწავლისა და სტრუქტურული ანალიზის მეშვეობით, ალ. ფოცხიშვილმა საეტაპო მნიშვნელობის საქმე გააკეთა ეროვნული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით.

წიგნში გაშუქებული საკითხები ანტონის მოღვაწეობის ორ უბანს — ლიტერატურასა და ენათმეცნიერებას ეხება. სათანადო ლიტერატურულ-ისტორიული და ენათმეცნიერული ხასიათის ფაქტებისა და მასალების გამოყენებით გამოკვლევის ავტორი აქარწყლებს ანტონის მიმართ მანამდე სამეცნიერო ლიტერატურაში წამოყენებულ ორ უმძიმეს ბრალდებას: 1) მან დააწვევინა „ვეფხისტყაოსნის" ნაბეჭდი ცალები; 2) ანტონმა „სამი სტილის თეორიის" წყალობით მთელი საუკუნით შეაჩერა ქართული სალიტერატურო ენის განვითარება.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხებზე მსჯელობა ალ. ფოცხიშვილმა გაცილებით ადრე დაიწყო. ამათგან აღვნიშნავთ ერთს, ეს არის 1970 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული სტატია „ანტონ პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალით", რამაც მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა.

ანტონ I-ის შელახული ღირსებების აღდგენას იუბილარმა დიდი ენერგია შეალია. ანტონის ქომაგობა მისთვის თვითმიზანი არ ყოფილა. ეს იყო ცდა მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენისა. ალექსანდრეს აზრით, ანტონის, როგორც გრამატიკოსის და ენათმეცნიერის მოღვაწეობა უნდა შეფასდეს არა იმის მიხედვით, თუ რა ვერ შეამჩნია მან, ან რაში შეცდა იგი, არამედ იმის მიხედვით, თუ რა აღმოაჩინა მან პირველმა.

ჭეშმარიტად! ობიექტური მეცნიერული კვლევისთვის ნამდვილად მისაღები პოზიციაა!



ალ. ფოცხიშვილის „ქართული ენათმეცნიერების ისტორია" ჩვენში ენათმეცნიერების სრული ისტორიის შექმნის პირველი ცდაა. მასში განხილულია ქართული ენათმეცნიერული (ლექსიკოგრაფიული თუ გრამატიკული) აზრის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებამდე.

ეს არის სამაგიდო წიგნი სპეციალისტთათვის. ქართული ენისა და გრამატიკული აზრის ისტორიის ნებისმიერი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის აღნიშნულ ფუნდამენტურ ნაშრომს.

ალ. ფოცხიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი საინტერესო გამოკვლევა ქართული ენის სტრუქტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. თითოეული მათგანი გამოირჩევა ახლებური მიდგომით და გადაწყვეტის ორიგინალობით, რაც დამახასიათებელია მისი ნიჭისა და ერუდიციისთვის. აღსანიშნავია, რომ მან აღმოაჩინა ადრე უცნობი უნებლიობისა და მოჩვენებითობის გრამატიკული კატეგორიები ქართულ ზმნაში. ამ აღმოჩენებმა საზღვარგარეთელ ქართველოლოგთა ყურადღება მიიპყრეს.

ალ. ფოცხიშვილი უპირველესად ენათმეცნიერია, ამას მოწმობს მისი წიგნები:

1. „ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან" (1960 წ.); 2. „ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან" (1979 წ.); 3. „ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები" (1981 წ.); 4. „პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო" (1990 წ.); 5. „ქართული ენათმეცნიერების ისტორია" (1995 წ.); 6: „ანტონ პირველი ბაგრატიონი და ქართველი საზოგადოებრიობა" (1996 წ.) და ა. შ. „ქართული ენა" (2000 წ.). თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თავად ბატონ ალექსანდრეს მონოგრაფიები: 1. „საიათნოვა — ლეგენდები და სინამდვილე" (1990 წ.), 2. „ვეფხისტყაოსნის ზოგი სადავო საკითხების გარშემო" (1991 წ.).

ამ ბოლო მონოგრაფიებში განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა ალექსანდრე ფოცხიშვილის პიროვნული თვისებები: როცა საკითხი ჭეშმარიტების ძიებას ეხება — უკომპრომისობა, ქედმოუხრელობა ყოველგვარი ავტორიტეტების წინაშე. ასე, მაგალითად, წიგნში „საიათნოვა — ლეგენდები და სინამდვილე" იუბილარი აშკარად დაუპირისპირდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის ისეთ კორიფეებს, როგორიც არიან: აკად. კ. კეკელიძე, აკად. ალ. ბარამიძე, აკად. გ. ჯიბლაძე, მწერალი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი, პროფ. ლ. მენაბდე, კრიტიკოსები: გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი და სხვ.

საქმე ის იყო, რომ კონიუნქტურის კარნახით, ჩამოთვლილი მეცნიერების შრომების მიხედვით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში შეიტანეს საიათნოვა და იგი წარმოადგინეს ლამის მთელი ეპოქის შემქმნელ ფიგურად, და კიდევ, ვინ იცის, რად! მაშინ როცა სინამდვილეში ჩვეულებრივი (თუმცა უეჭველად ნიჭიერი აშუღი) ერეკლე მეორის საზანდარდასტის რიგითი წევრი იყო, საიდანაც, ერთ მშვენიერ დღეს, როგორც ჩანს, სრულიად დამსახურებულად, უბოდიშოდ დაითხოვეს კიდეც და, მრავალმხრივი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, უკან აღარ დააბრუნეს.

ასევე ცხარე კამათი მოუხდა ალექსანდრე ფოცხიშვილს ბევრ გამოჩენილ რუსთველოლოგთან წიგნში „ვეფხისტყაოსნის ზოგი სადავო საკითხების გარშემო".

საყოველთაოდ ცნობილია ალ. ფოცხიშვილის დისიდენტური წარსული, მისი ღია და დაუნდობელი ბრძოლა კომუნისტი ფუნქციონერების წინააღმდეგ. თანადგომა და მეგობრობა გამსახურდია-კოსტავას ჯგუფთან. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მოწოდებებით გამოდიოდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის სასარგებლოდ, მაგრამ, როცა დაინახა, რომ პრეზიდენტმა გარშემო შემოიკრიბა არაკომპეტენტური ადამიანები, რომელთა გავლენის ქვეშ მოექცა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა, უარი თქვა შეთავაზებულ თანამდებობაზე — განათლების მინისტრის I მოადგილეობაზე, გაზეთ „დრონის" ფურცლებზე კი გამოაქვეყნა ღია ბარათი პრეზიდენტის მიმართ, რომელიც ასე მთავრდებოდა: „თუ ასე გააგრძელებთ, დაღუპავთ თქვენს თავსაც და საქართველოსაც". სამწუხაროდ, ეს წინასწარმეტყველება დიდი სიზუსტით ახდა.

ვინც ალ. ფოცხიშვილს და მის შემოქმედებას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ მისი, როგორც მკვლევარისა და პიროვნების ტემპერამენტის დამახასიათებელი ნიშანია მკვეთრად გამოხატული პოლემიკურობა. მას არ შეუძლია გულგრილი დარჩეს ნებისმიერი ნეგატიური მოვლენის მიმართ — საზოგადო იქნება ის, თუ პირადული, ასევე, მეცნიერული თუ ცხოვრებისეული.

ალექსანდრე ფოცხიშვილი აქტიური საზოგადო მოღვაწეა. მისი მოთავეობით 1993 წელს ჩამოყალიბდა ქართული ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება, რომლის პრეზიდენტიც თავად გახლავთ და რომელმაც მონაწილეობა მიიღო სამ (ოქსფორდის, პარიზის, სანპაულოს) საერთაშორისო კონფერენციაში.

თავის იუბილეს ალ. ფოცხიშვილი შემოქმედებითი ძალების აღმავლობის პერიოდში ეგებება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მხნედაა და ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება.

ღმერთმა ხელი მოუმართოს...

**სერგო ვარდოსანიძე,**
**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სამეცნიერო დარგის პრორექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**გუგაზ გოგატიშვილი,**
**ქართული ენის მოდულის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

(იბეჭდება ავტორთა ხარჯით)



## უკრაინის ხელისუფლებამ მაინც გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯი

**მთავრობამ მოიწონა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მებრძოლი ბანდერელები გაუთანაბრდებიან დიდი სამამულო ომის ვეტერანებს.**

ახლა ბანდერელებისთვის გათვალისწინებულია მატერიალური კომპენსაცია. კანონის ასამოქმედებლად საჭიროა უზენაესი რადის 226 დეპუტატის ხმის მოგროვება. ამავე დროს, ტერნოპოლში, ლვოვში, ივანო-ფრანკოვსკში, ლუცკსა და როვნოში უკვე გაიმართა უკრაინელ მეამბოხეთა არმიის მეომრების პარადები.



**თეთრ სახლსა და სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრითში დაბანაკებულ გარნიზონს შორის ერთ-ერთი სატელევიზიო ხიდის დროს ამერიკის პრეზიდენტმა გამორიცხა ერაყიდან შეერთებული შტატების ჯარების გამოყვანის შესაძლებლობა მანამ, სანამ ერაყის უშიშროების ძალები თვითონ შეძლებენ ქვეყანაში წესრიგის დამყარებას.**

ამავე დროს, რეფერენდუმის გამართვის წინა დღეებში ერაყში გადაკეტეს საზღვრები მეზობელ ქვეყნებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიება იყო, რადგან, საზღვრები ქუვეითთან, საუდის არაბეთთან, ირანთან, სირიასთან, თურქეთთან და იორდანიასთან გაიხსნა კვირას, დილის 6 საათზე.



**ვორონეჟის უმაღლესი სასწავლებლების უცხოელი სტუდენტები მზად არიან თავდაცვის რაზმების შესაქმნელად.**

ასეთი განცხადება გააკეთეს უცხოურ სათვისტომოთა წარმომადგენლებმა. მათი აზრით, სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სტუდენტების უშიშროებას.

ამავე დროს, ვორონეჟის ოლქში დააკავეს უცხოელი სტუდენტების მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთხი პირი. სხვათა შორის, რუსეთში სწავლობს ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების 40 ათასზე მეტი სტუდენტი.

## გარდაიცვალა ოლეგ ლუნდსტრემი



**2 აპრილს მას 90 წელი შეუსრულდებოდა. თავისი სახელგანთქმული ჯაზის კოლექტივი ლუნდსტრემმა შექმნა 71 წლის წინ — იგი გინესის რეკორდების წიგნშიც კი შეიტანეს, როგორც მსოფლიოში უძველესი ჯაზ-ბენდი, რომელიც ერთხელაც კი არ დაშლილა!**

ოლეგ ლუნდსტრემი დაიბადა ჩიტაში, მაგრამ მშობლებმა იგი მალე გადაიყვანეს საცხოვრებლად შანჰაიში, რადგან ისინი მსახურობდნენ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზაზე. სწორედ ჩინეთში შეიქმნა კიდეც სახელგანთქმული ორკესტრი.

როცა დიდი სამამულო ომის დასრულების შემდეგ ლუნდსტრემი თავის კოლექტივთან ერთად რუსეთში ჩამოვიდა, მისი კონცერტები „იატაკქვეშეთში" იმართებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლება ჯაზს არ წყალობდა. მხოლოდ 1946 წელს მოახერხა ორკესტრმა ოფიციალური რეგისტრაციის გავლა — სამაგიეროდ, ამის შემდეგ, მუსიკოსი წარმატებას-წარმატებაზე აღწევდა: ორკესტრმა მიიღო მონაწილეობა ათობით საერთაშორისო ფესტივალში, 1998 წელს კი გამოვიდა მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. და აქაც ლუნდსტრემი პირველკლავიში იყო — მანამდე ამ სცენიდან ჯაზური მუსიკა არასდროს გაჟღერებულა...

ოლეგ ლუნდსტრემი, მისი ანდერძის თანახმად, დაკრძალეს მოსკოვის ოლქის დაბა სოკოლოვკის სასაფლაოზე, ნათესავების გვერდით.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კავკასია: ჩეჩნეთის შემდეგ საქართველო იქნება?

(პირველი გვერდიდან)

### „კრემლის ხრიკები“ აფხაზეთსა და ოსეთში

**ყველაფერი** იქეთკენ მიდის, რომ მშვიდობის დამყარების კონცეფცია (რომლითაც სააკაშვილმა გაიმარჯვა არჩევნებზე) შეიცვლება 1990-იანი წლების დამდეგს განცდილი დამარცხებისთვის რევანშის კონცეფციით, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების რეალური მიზეზებისა და წანამძღვრების განხილვის ნაცვლად კი, ყველაფერი დაბრალდება „კრემლის ხრიკებს“. საქართველოში სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის შესახებ რუსეთის გეგმებზე და იმაზე, რომ მზად არიან წინ აღუდგნენ ამ გეგმებს იარაღით ხელში. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება აფხაზეთს.

არადა, ისტორიას თუ ჩავუღრმავდებით, გავარკვევთ, რომ იმ მომენტისთვის, როცა საქართველო შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ამ ქვეყნის საზღვრები მკაფიოდ იყო მონიშნული. და მასში არანაირი აფხაზეთი არ ყოფილა. აფხაზეთის სამთავრომ შეინარჩუნა სუვერენიტეტი, კავკასიის ომის დასრულებამდე, 1864-1918 წლებში კი აფხაზეთს მართავდა რუსეთის ადმინისტრაცია და 1883 წლიდან მას ეწოდებოდა სოხუმის ოლქი.

1917 წლის რევოლუციამ გამოიწვია ის, რომ საქართველომ და აფხაზეთმა ცალცალკე გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. 1918 წლის 9 თებერვალს საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ადგენდა აფხაზეთის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს საზღვრებს. 1918 წლის მაისში საქართველომ შეიყვანა ჯარები აფხაზეთში და განახორციელა მეზობელი სახელმწიფოს ანექსია.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან დადებულ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, რომელსაც იმოწმებს საქართველოს მხარე, და რომლის მიხედვითაც საქართველო იერთებს აფხაზეთის ტერიტორიას მისი თანხმობის გარეშე, არა აქვს იურიდიული ძალა. ორი ქვეყნის შეთქმულება (რსფსრ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) მესამის (აფხაზეთი) წინააღმდეგ, საერთაშორისო სამართლის მიხედვით არის აგრესია, ოკუპაცია და სუვერენული აფხაზეთის სახელმწიფოს ანექსია. საქართველომ მიითვისა სხვა სახელმწიფოს ტერიტორია არა ნებაყოფლობითი დათმობის შედეგად, არამედ მესამე მხარესთან შეთქმულების საფუძველზე.

1992 წელს საქართველოს რეგულარული ჯარები და, ეგრეთ წოდებული, „მხედრიონის“ რაზმები კვლავ შეიჭრნენ აფხაზეთში. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ აფხაზეთი, რომელსაც არ ჰყავდა რეგულარული არმია, პრაქტიკულად, მთლიანად ოკუპირებული აღმოჩნდა. თავისუფალი რჩებოდა მხოლოდ ქალაქი ცანდრიფში და რუსეთის რამდენიმე სანატორიუმი ბიჭვინთაში, რომლებშიც, ეგრეთ წოდებული, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ჯარები, უბრალოდ არ შეუშვეს (!) ამ ობიექტების დაცვის წევრებმა.

აფხაზეთის მცხოვრებლებმა შექმნეს თავდაცვის რაზმები და რუსი და ჩეჩენი მოხალისეების მხარდაჭერით, სწრაფად გაათავისუფლეს თავიანთი ტერიტორია. თანაც, ეს მოხდა იმდენად სწრაფად, რომ საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც იღებდა სოხუმში გამარჯვებულთა პარადს, ქალაქიდან გამოსვლა მოასწრო მხოლოდ თავისი პირადი მცველების ერთგულებისა და ვერტმფრენის პილოტის ოსტატობის წყალობით.

სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით სიტუაცია სხვაგვარი იყო. ამ რეგიონის მოსახლეობას სავსებით აძლევდა ხელს ავტონომიის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა გამსახურდიამ განაცხადა, რომ ქვეყანაში არიან ოსები, მაგრამ არ არსებობს ოსეთი, რეგიონის მოსახლეობამ დაუყოვნებლივ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და განდევნა ქართველები თავისი ტერიტორიიდან.

### საქართველო ომისთვის ემზადება

**მაგრამ** დავუბრუნდეთ დღევანდელ დღეს. რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს პარლამენტმა მიიღო უპრეცედენტო დადგენილება, რომელიც ულტიმატუმს უფრო წააგავს. დაადანაშაულეს რა,რუსი მშვიდობისმყოფლები ყველა ამქვეყნიურ ცოდვაში — კონტრაბანდით და მძევლების აყვანით დაწყებული და რეგიონის მილიტარიზაციით და ტერორიზმის მხარდაჭერით დასრულებული, — ქართველმა პარლამენტარებმა მოითხოვეს რუსი ცისფერჩაჩქნიანებისგან, რომ 2006 წლის 1 ივლისამდე „მიაღწიონ პროგრესს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჩააბარონ“ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. თუ რუსეთი არ დათანხმდება ულტიმატუმს, საქართველოს პარლამენტი უფლებას იტოვებს, რომ 2006 წლის 15 ივლისიდან მიიღოს გადაწყვეტილება ჯერ რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, შემდეგ კი განახორციელოს ამ საკითხის თაობაზე არსებული ყველა შეთანხმების დენონსირება. კონფლიქტის ზონებში მიიწვევენ ევროპელ და ამერიკელ სამშვიდობოებს, ანუ ნატოს ჯარისკაცებს, რომელთა ეფექტიანობაც შემოწმდა კოსოვოში, სადაც „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ დროს სერბები მთლიანად განდევნეს მშობლიური კერებიდან.

უახლოესი პერსპექტივისთვის საქართველოს ორი ფაქტორის იმედი აქვს. ჯერ ერთი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა მოახდენს პრესინგს რუსეთზე. და მეორეც, რუსეთი ჩაუღრმავდება საშინაო პრობლემების გადაჭრას, და საერთაშორისო გაერთიანების ზემოქმედებით, დათანხმდება სამხრეთ კავკასიიდან წასვლას.

გარდა ამისა, საქართველომ გაითვალისწინა 1990-იანი წლების სავალალო გამოცდილება და სადღეისოდ ეს პატარა ქვეყანა წარმოუდგენლად სწრაფი ტემპით იარაღდება. მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი აცხადებდა, რომ „...2005 წლის დამლევისთვის საქართველოს ეყოლება ისეთი არმია, რომელიც შეძლებს იმ ამოცანის შესრულებას, პრეზიდენტმა რომ დამისახა მინისტრის პოსტზე დანიშვნისას“. და ეჭვი არავის რომ არ შეპარვოდა იმაში, თუ რა ამოცანებს ეხებოდა საქმე, მინისტრმა დასძინა: „ძალიან მალე ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს თავისუფლად გადაადგილებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში“.

ასეთი ოპტიმიზმისთვის საფუძველი არსებობს. რუსი მშვიდობისმყოფლების გაძევება ლოგიკური ნაბიჯია საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შემდეგ. თბილისი ასე ცდილობს გამოათავისუფლოს პლაცდარმი ჩამოშორებული ავტონომიების წინააღმდეგ სწრაფი ძლევამოსილი ომისთვის. საქართველოს მიმდინარე წლისთვის აქვს ყველაზე დიდი სამხედრო ბიუჯეტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რომელიც უტოლდება ედუარდ შევარდნაძის დროს ქვეყნის წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგრამ ესეც არ არის ზღვარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ 2006 წლის ბიუჯეტის პროექტში თავდაცვის სამინისტროს ხარჯები გაზრდილია სამჯერ 2005 წელთან შედარებით. საქართველოს ყოველ მცხოვრებზე გაანგარიშებით, ამ ქვეყნის სამხედრო ხარჯები უტოლდება რუსეთისას — დაახლოებით 160 დოლარი სულზე. ამასთან, საქართველოს არ ეხარჯება იმდენი თანხები, რამდენიც რუსეთს, რადგან მას არ ჰყავს სტრატეგიული ბირთვული ძალები, საოკეანო და საზღვაო ფლოტი, ასობით ხომალდი და წყალქვეშა ნავი... არ არის ავიაცია და არც უზარმაზარი საზღვრები, რომელთა დაცვაც ასევე კოლოსალურ სახსრებს მოითხოვს. უკვე არაფერს ვამბობთ ახალი სახეობის შეიარაღების შემუშავებაზე, ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებზე მთელ მსოფლიოში, სამხედრო ბაზებზე რამდენიმე ქვეყანაში და ა. შ.

მაშ, რისთვის იხარჯება ასეთი ფული? იარაღისთვის. როგორც თვით ქართველები ამბობენ, „რაღაც-რაღაცეებს ვყიდულობთ, რაღაცას კი — მეგობრები გვჩუქნიან...“ სწორედ ამაზე გვსურს ახლა უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

მარტო მიმდინარე წელს საქართველომ მიიღო „იროკეზის“ ტიპის 10 ვერტმფრენი, რომლებიც პენტაგონმა უსასყიდლოდ გადასცა. გარდა ამისა, უკრაინაში შეისყიდეს 13 მრავალმიზნობრივი მი-8, მაკედონიასა და ბულგარეთში — შვიდი სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, უზბეკეთში — რამდენიმე მიგ-23, ჩეხეთში კი — ლ-159 საწვრთნელ-საბრძოლო თვითმფრინავები. ჩეხეთმა ასევე გადასცა საქართველოს 120 ტანკი. ჯავშანტექნიკის დიდი პარტია შეისყიდეს უკრაინაში, მათ შორის — 40 ბმპ-2 ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა, 10 ბტრ-80 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორი, აგრეთვე ტ-72 მოდერნიზებული ტანკები. 14 თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი გაგზავნა საქართველოში ჩეხეთმა. შეერთებულმა შტატებმა მას გადასცეს 77 ერთეული ჯავშანტექნიკა და 30 მილიონ დოლარად ღირებული ბიოლაბორატორია. 2005 წელს უკრაინამ, ჩეხეთმა და ბულგარეთმა საქართველოს მიაწოდეს ათასზე მეტი საარტილერიო სისტემა, 7,5 ათასი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და დიდძალი ტყვია-წამალი. კიდევ დაახლოებით 2 ათასი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღის და ტყვია-წამლის გადაცემას აპირებენ უნგრეთი, რუმინეთი, მაკედონია. ლიტვას დაგეგმილი აქვს საქართველოს გადასცეს თავისი არსენალებიდან 14 ათასი კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი, გარდა ამისა, თავისი ორი ფრეგატი — „ჟემაიტისი“ და „აუკშაიტისი“, რომლებიც ბარტერის სახით მიიღეს რუსეთისგან კალინინგრადში ფლოტის ოფიცრების ბინების მშენებლობისთვის. მზადდება გარიგება ეგვიპტესთან 90 ათასი ავტომატის შესყიდვის შესახებ. ასეთი რაოდენობის იარაღი საჭიროა რეზერვისტების შესაიარაღებლად, რომელთა ბატალიონების ჩამოყალიბება დამკვრელური ტემპებით მიმდინარეობს. დაგეგმილია, რომ ამ ბატალიონების შემადგენლობაში შევა პრაქტიკულად ყველა ზრდასრული მამაკაცი — ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 40 პროცენტი. აქტიურად ხორციელდება საბრძოლო წვრთნები, მნიშვნელოვნად იზრდება ელიტურ ნაწილებში ოფიცრებისა და კონტრაქტით მომუშავე პირთა ხელფასები. ერთი სიტყვით, ამ ბოლო წლის განმავლობაში, საქართველომ თავისი არმიის განმტკიცების მიზნით გააკეთა უფრო მეტი, ვიდრე წინა 13 წლის მანძილზე.

### კავკასიის „ბალკანიზაცია“

**აფხაზეთის** და სამხრეთ ოსეთის ლიდერები არ ცდებიან, როცა აცხადებენ, რომ საქართველო მალე გადავა სიტყვიდან საქმეზე. ხოლო ნატოს ჯარისკაცებით რუსი სამშვიდობოების შეცვლის პერსპექტივა, მათ დიდად არ ახარებს. იუგოსლავიის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ნატოელები არ ეცდებიან ერთმანეთს დააშორიშორონ კონფლიქტის მონაწილე მხარეები. ისინი, ალბათ, უფრო გამარჯვებულის წინასწარ განსაზღვრას მიანიჭებენ უპირატესობას. საქართველო, რომელიც დასავლეთის თვალში არის კავკასიაში დემოკრატიის ფორპოსტი, დაიმსახურებს „მაყურებლის სიმპათიის“ მთავარ პრიზს.

**უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პოზიცია ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ბოლო ხანებში, იწვევს გაოცებას თავისი ორმხრივი მიდგომით. ერთის მხრივ, რუსეთი ოფიციალურად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ კი, დაჩქარებული ტემპით ურიგებს პასპორტებს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს — ამ რეგიონებში მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტს რუსული პასპორტები აქვს. შექმნილ ვითარებაში კონფლიქტის ზონებით მანიპულაცია არის რეგიონზე კონტროლის შენარჩუნების ერთადერთი შესაძლებლობა — წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი მთლიანად დაკარგავს კონტროლს კავკასიაზე.**

**ნიკოლოზ ნოსოვი,**
**„სოვერშენნო სეკრეტნო“ (რუსეთი),**
**20 ოქტომბერი.**

## შპს „სასტუმრო აკადემიურის“ დირექცია აცხადებს კონკურსს ფართის იჯარით გაცემის თაობაზე

**კონკურსზე იჯარით გაიცემა:**

ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, ძოწენიძის ქუჩა № 4-ში მდებარე შპს „სასტუმრო აკადემიურის“ ოთხსართულიანი შენობის პირველ სართულზე მდებარე 36 კვ.მ. ფართი (სასტუმროში განთავისებულნი არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები). იჯარის ვადა 5 წელი.

საიჯარო პირობები:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო და ეკოლოგიური ნორმების დაცვა;

ბ) სარემონტო სამუშაოების ჩატარება 3 თვის ვადაში;

საიჯარო ქირის გადასახადი შეადგენს 2 ლარი კვ.მ-ზე, სულ 72 ლარი, სამი თვის საიჯარო ქირის წინასწარი გადახდით. მოიჯარე ასევე იხდის ელ. ენერგიისა და წყლის გადასახადებს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა:

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება ის პიროვნება, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს და გადაიხდის მაქსიმალურ საიჯარო ქირას.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადება, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე:

— კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ სხვისი სახელით მოქმედებს;

— იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს;

— განცხადებების რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს;

— საკონკურსო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, „სასტუმრო აკადემიურის“ შენობა, პირველი სართული, ადმინისტრაციის ოთახი.

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, 10 სთ-დან 14 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე დღე ემთხვევა უქმე დღეს, განცხადებების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო სამუშაო დღეს იმავე საათზე. კონკურსი ჩატარდება განცხადების მიღების დამთავრების მომდევნო დღეს 14 სთ-ზე.

**შპს „სასტუმრო აკადემიურის“**
**ადმინისტრაცია.**

## განცხადება

**აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს მედიცინის, კურორტოლოგიისა და ტურიზმის სამეცნიერო განყოფილებაში აკადემიკოსის ერთი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მედიცინის მეცნ. დოქტორს, პროფესორს. უპირატესობა მიენიჭება იმას, ვინც მუშაობს აფხაზეთიდან დევნილთა ჯანმრთელობის პრობლემებზე.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: აფხაზეთის მეცნ. აკადემიის კანცელარიას. კოსტავას № 5 (ლიტ. ინსტ. შენობა, I სართული). 93-88-54.**

**მიმდინარეობს „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის“ (რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, ბრძანება № 184, 20 მარტს 2003 წელს) (IFES) ლიკვიდაცია. ყველა დაინტერესებულმა პირმა გთხოვთ მოგვმართოთ, ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის № 65. საზოგადოების ლიკვიდატორი მაია გოგოლაძე და ქეთი მაისურაძე.**

ჩემპიონთა ლიგა

# პირველი წრის შემდეგ

**ტრავმირებული რონალდოს გარეშე მოთამაშე მადრიდის „რეალმა“ ოთხშაბათს კიდევ ერთხელ ანერვიულა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილი მრავალრიცხოვანი აუდიტორია, თუმცა წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ მაინც გაარღვია „რუსენბორგის“ მასირებული დაცვა და საქმე მეტოქის განადგურებამდე მიიყვანა — 4:1. (გოლები: ვუდგეიტი, რაული, ელგერა, ბექჰემი, სტრანდი).**

ამავე **„ვ“ ჯგუფის** ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლიონმა“ გაჭირვებით გამოჭედა ზედიზედ მესამე გამარჯვება „ოლიმპიაკოსთან“ — 2:1 (გოლები: ჟუნინიო, გოვუ; კაფისი).

**„ლიონი“ — 9, „რეალი“ — 6, „რუსენბორგი“ — 3, „ოლიმპიაკოსი“ — 0 ქულა.**

**„ე“ ჯგუფში** ორივე მატჩი ფრედ დასრულდა, თუმცა მათში მოვლენები განსხვავებულად განვითარდა. კერძოდ, თუ „მილანი“ და „ეინდჰოვენი“ ერთმანეთს უმარილოდ უტევდნენ და მშრალად დაშორდნენ — 0:0, სტამბოლში, პირიქით, „ფენერბახჩემ“ და „შალკემ“ დღის ყველაზე შედეგიანი შეხვედრა გამოაცხვეს — 3:3. აღსანიშნავია, რომ „მილანისა“ და „შალკეს“ ქართველი ლეგიონერები კალაძე და კობიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და აქტიურობდნენ კიდეც.

**„მილანი“ — 5, „ფენერბახჩე“, „ეინდჰოვენი“ — 4-4, „შალკე“ — 2 ქულა.**

**„ზ“ ჯგუფში** გრძელდება ინგლისური კლუბების ჰეგემონია. ოთხშაბათს შთამბეჭდავად იასპარეზა „ჩელსიმ“, რომელმაც ამჯერად „ბეტისი“ გააცამტვერა — 4:0 (გოლები: დროგბა, კარვალიუ, კოული, კრესპო). რაც შეეხება ლიგის ამჟამინდელ ტრიუმფატორს, „ლივერპულმა“ სტუმრად მოკრძალებული წარმატება იკმარა „ანდერლეხტთან“ — 1:0 (გოლი: სისე).

**„ჩელსი“, „ლივერპული“ — 7-7, „ბეტისი“ — 3, „ანდერლეხტი“ — 0 ქულა.**



პირველი მარცხი იწვნია **„თ“ ჯგუფის** „ყოჩმა“ მილანის „ინტერმა“, რომელსაც „პორტუმ“ 2:0 სძლია (გოლები: მატერაცი — საკუთარ კარში, მაკარტი). წაფორხილების მიუხედავად, იტალიელთა პოზიციები მაინც პერსპექტიულად გამოიყურება.

კიდევ ერთხელ ივაჟკაცა სეზონის აღმოჩენამ — სლოვაკურმა „არტმედიამ“, რომელმაც გლაზგოში „რეინჯერსის“ შტურმს გაუძლო — 0:0.

**„ინტერი“ — 6, „არტმედია“, „რეინჯერსი“ — 4-4, „პორტუ“ — 3 ქულა.**

სიახლე

# რეფორმა ბავშვთა კალათბურთში

**გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე საინტერესო სიახლე შევიტყვეთ — ამიერიდან ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა ყველა ასაკის ნაკრები გუნდი შეიქმნება, რაც მრავალმხრივ გახლავთ არგუმენტირებული.** როგორც სკფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა **ლაშა ძიძავამ** განაცხადა, აღნიშნული ნოვაცია ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას (ეროვნული სიმბოლიკით შემკული მაისურის ფაქტორი), შეთამაშებას და მათი ფსიქოლოგიური სრულყოფის მიღწევას (კონკურენციის გათვალისწინებით). ამ ნაბიჯით საგრძნობლად იზრდება მწვრთნელთა პასუხისმგებლობა, თუმცა მათი პროფესიული დაოსტატებისთვის უცხოეთში სტაჟირება და სემინარებზე მივლინებებიცაა განზრახული. „პირველი მერცხლობის“ პატივი 1992 წელს დაბადებულებს ხვდათ, რადგან 1991-წლიანთა შორის გადაზრდილი მოთამაშენი არიან გამოვლენილნი. ისიც ითქვა, რომ დაბალი დონის ინფრასტრუქტურის გამო რეფორმის გატარება საკმაოდ გაძნელდება, განსაკუთრებით რეგიონებში, მაგრამ, იმედია, თანდათან ყველაფერი მოწესრიგდება.

***გთავაზობთ მომავლის პროექტის რამდენიმე არსებით დებულებას:***

**ყოველ წელს, ყოველ ახალ ასაკში (1992, 93, 94-ები და ა.შ.), შეიქმნება შესაბამისი ასაკის საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელსაც ფედერაციის მიერ დაენიშნება მთავარი მწვრთნელი და ასისტენტი. მწვრთნელები ნაკრებ გუნდს მოამზადებენ ერთიანი, გრძელვადიანი პროგრამით, ფიბა ევროპი-ს მიერ დადგენილი ასაკობრივი სტატუსის ბოლომდე (ე.ი. 20 წლამდე არსებული საერთაშორისო შეჯიბრებების ბოლომდე).**

**მოთამაშეები საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში მონაწილეობას მიიღებენ თავ-თავიანთი კლუბების სახელით, ხოლო ნაკრები ითამაშებს საქართველოს ჩემპიონატს ერთი წლით უფროს გუნდებთან ერთად. ნაკრები ყოველ კვირას ჩაატარებს ერთობლივ წვრთნას, რომლის დროსაც მოთამაშეებს მიეცემათ ინდივიდუალური დავალებები იმ პერიოდზე, როდესაც ისინი თავიანთ კლუბებში ივარჯიშებენ (რის შესახებაც მიღწეულია შეთანხმება ნაკრების მწვრთნელების აქტიური თანამშრომლობისა, კლუბების მწვრთნელებთან).**

**ნაკრები ოფიციალური შეჯიბრებების გარდა, წელიწადში ორჯერ (ზაფხულში და ზამთარში), ჩაატარებს შეკრებებს და წელიწადში მინიმუმ ერთხელ ითამაშებს საერთაშორისო ტურნირს, ასევე საკონტროლო თამაშებს.**

**ნაკრების მწვრთნელების ფუნქცია და ამოცანა ასევე იქნება შესაბამისი ასაკის მწვრთნელებში სწორი მეთოდიკის დანერგვა და საქართველოს მასშტაბით პერსპექტიული ბავშვების აღმოჩენა (სელექცია).**

**92-ბის ნაკრების მთავარ მწვრთნელად იმუშავებს გელა წულაძე, ასისტენტად გია კაზანჯიანი. მომავალში ისინი შეირჩევიან ტენდერით.**

კარატე

# ტრიუმფი ჰალეში

**ამას წინათ გერმანიის ქალაქ ჰალეში გაიმართა შოტოკან კარატე-დოს ფუძემდებლის, იაპონელი გიჩინ ფუნაკოშის სახელობის მე-13 მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც 40 ქვეყნის 800-მდე კარატისტი მონაწილეობდა, მათ შორის გახლდათ საქართველოს ცხრაკაციანი დელეგაცია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის სენსეი კახა ბასილიას ხელმძღვანელობით.**



ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს — გუნდურ პირველობასთან ერთად ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ბატონ კახა ბასილიას თქმით, ყველაზე შთამბეჭდავი გუნდური შეჯიბრება გამოდგა. იმის მიუხედავად, რომ სამი წლის წინათ საქართველოს კარატისტებმა გერმანიაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო თასი მოიგეს, ჰალეში მათ ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. ეტყობა, ამან ჩვენს გუნდზე (ლევან გორელაშვილი, ირაკლი და დავით ტყებუჩავები, გიორგი ხოხაშვილი, ალექსანდრე ჟამურაშვილი) დადებითად იმოქმედა. პირველი შეხვედრა კახა ბასილიას შეგირდებმა მოლდოვის ნაკრებს მოუგეს 3:0, შემდეგ ასეთივე ანგარიშით მასპინძლებს — გერმანელებს სძლიეს, რამაც რადიკალურად შეცვალა ქართველებისადმი დამოკიდებულება, მაგრამ ამან უკვე მეტოქეებს ვერ უშველა. ერთადერთი ინგლისის ნაკრებმა გაუწია ჩვენებს მედეგი წინააღმდეგობა, თუმცა, ფინალში ვერც ისინი გადარჩნენ. ნაკრების წევრებმა პირველ ადგილზე ორ-ხმალი [...] ქვეყნის [...] მსოფლიო [...]

პირად პირველობაზე საქართველოს გუნდის წევრებმა ორ წონით კატეგორიაში ისახელეს თავი. +75 კილოში პირველი ადგილი გიორგი ხოხაშვილმა დაიკავა. ფინალში მან სძლია ალექსანდრე ჟამურაშვილს, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა. — 70 კილოში კვარცხლბეკი მთლიანად საქართველოს წარგზავნილებმა დაიპყრეს: 1. ირაკლი ტყებუჩავა, 2. ლევან გორელაშვილი, 3. დავით ტყებუჩავა.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. მართალია „ბებერი კონტინენტის“ წარმომადგენლებს ფავორიტად არ მივაჩნდით, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ საქართველოს კარატისტებმა წლეულს ევროპის ჩემპიონატზე თურქეთში მესამე ადგილი დაიკავეს. აზერბაიჯანელებთან ნახევარფინალური შეხვედრისას უნებლიე შეცდომა რომ არა, ჩვენს ბიჭებს იქაც პირველობას ვერავინ შეეცილებოდა. მით უმეტეს, რომ მათ პირველმეორე რაუნდში თურქეთი და ინგლისი ჩამოიცილეს გზიდან.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 18 წლის ლევან გორელაშვილმა უფროსებთან პირად პაექრობაში სტამბოლის ტატამზე კიდევ ორი მედალი მოიპოვან: „ვერცხლი“ — შობეიპონსა (ბრძოლა 2 ქულამდე) და „ბრინჯაო“ — ჯუ-მიტეში (კონტაქტური კარატე). ევროპის ჩემპიონატზე ლევანმა 15 ორთაბრძოლიდან 12 მოიგო. მანამდე კი ისრაელში მსოფლიო მაქაბიადაზე მეორე ადგილი დაიკავა.



საქართველოს კარატისტები ამჟამად მორიგი ორთაბრძოლებისთვის ემზადებიან.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: მარცხნიდან — ლევან გორელაშვილი, შოტოკან კარატე-დოს მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი ჰიტოში კასუია, კახა ბასილია და ირაკლი ტყებუჩავა; მსოფლიო თასის მფლობელი საქართველოს კარატისტთა ნაკრები.**

ნარდი

# ექლვნება თბილისობას

**თბილისქალაქობის დღესასწაულის სპორტულ პროგრამაში ღირსეულ ადგილს დაიკავებს მონარდეთა ტურნირი, რომლის ორგანიზატორებიც არიან ამ აზარტული სეხეობის ეროვნული ფედერაცია და თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (შეჯიბრების კომისარია თემურ ქურციკიძე).**



ასპარეზობა დღეს 13 საათზე რიყეზე, რესტორან „ოდიშში“ დაიწყება (რეგისტრაცია — 11 საათიდან) და ზეგ დასრულდება. მის პროგრამაშია ქართული (მოკლე) ნარდი, გრძელი ნარდი, ნარდი საერთაშორისო წესებით, ქალთა და წყვილთა ბრძოლები, აგრეთვე გუნდური ტურნირი (გუნდში 3 მოთამაშეა).

ტრადიციისამებრ, გამარჯვებულები ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით დაჯილდოვდებიან. რაც შეეხება მთავარ პრიზს — ჭიდილას, იგი ქართული (მოკლე) ნარდის ჩემპიონს გადაეცემა.

ფეხბურთი

# ვაი, ასეთ წინსვლას!

**არ ვიცით, როგორ მოხდა, მაგრამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დიდი მარცხის მიუხედავად, ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის — ფიფას — მიერ ციურიხში გამოქვეყნებული მორიგი რეიტინგის მიხედვით საქართველოს ნაკრებმა ოთხი „მძლავრი“ ნაბიჯი გადადგა წინ და 104-ე ადგილიდან 462 ქულით მეასე ადგილზე გადაინაცვლა (?!).**

მსოფლიო რეიტინგს ძველებურად 840 ქულით **ბრაზილია** უდგას სათავეში. პირველ ათეულში მასთან ერთად არიან (ფრჩხილებში მითითებულია წინა თვის ადგილი): 2. (2) **ნიდერლანდები** — 797; 3 (4). **ჩეხეთი** — 783; 4 (3). **არგენტინა** — 778; 5 (6). **საფრანგეთი** — 776; 6 (5) **მექსიკა** — 767; 7 (7); **აშშ** — 768,8 (8). **ესპანეთი** — 764, 9-10 (11). **ინგლისი** — 754, 9-10 (9) **პორტუგალია** — 754.

სპორტულ ორბიტაზე

## ვიქტორიას კიდევ ერთი გაბრწყინება

**ვიდრე ფეხბურთის ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი მინდორზე ოფლს ღვრიდა და გულშემატკივრებს ახარებდა, მისი მეუღლე ვიქტორია, „პოშ“-საც რომ ეძახიან, მონაკოში დეფილე-კონცერტზე Fayshion Rocky ერთობოდა, სადაც მსოფლიო სამოდელო და მუსიკალური ინდუსტრიის „ნაღები“ შეიკრიბა.**

სტუმრებს შორის იყვნენ ოსბორნების ოჯახი, უჭკნობი ვივიენ ესტვუდი, ცნობილი ირლანდიელი მომღერალი ქალი რეიზენ მერფი, აგრეთვე პოპულარული იტალიელი მოდელიორი რობერტო კავალი, რომელიც წითელ ფიანდაზზე მასთან შეკრელი კაბაში გამოწყობილ ვიქტორიასთან დასეირნობდა. თვითმხილველთა აზრით, ვიქტორია ამ საღამოს „დედოფალი“ იყო და თითქმის ყველას ყურადღება მისკენ იყო მიპყრობილი.

საღამოს პროგრამაში იყო ცნობილი დიზაინერების ახალი ტანსაცმლის ჩვენება, მომღერალი ვარსკვლავების „ცოცხალი“ გამოსვლები. მთელი შემოსავალი პრინც ჩარლზის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ორგანიზაციის ფონდს გადაეცა.



## მესამე მალდინი?

**ფეხბურთის გულშემატკივრები კარგად იცნობენ იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავებს — ჩეზარე და პაოლო მალდინებს; პირველმა წარუშლელი კვალი დატოვა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში, მეორე კი ახლაც, როგორც კაპიტანი, სათავეში უდგას „მილანს“ და ახალ-ახალი გამარჯვებების სულისჩამდგმელია.**

და აი, ახლა მალდინების მესამე თაობის წარმომადგენელმა — პაოლოს 9 წლის ვაჟიშვილმა — კრისტიანმა გადაწყვიტა, თავისი ბედი დაუკავშიროს იმ გუნდს, რომლის ისტორიაში სამუდამოდაა ჩაწერილი მისი დიდი წინამორბედების სახელები. მან გუნდის შავ-წითელი ფორმა ოფიციალურ ცერემონიაზე კლუბის თავკაცებისგან მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ნორჩი ფეხბურთელის პაპამ ჯერ კიდევ 1963 წელს, როცა „მილანის“ კაპიტანი იყო, მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი, მამის კვალზე წასული შუათანა — პაოლო მალდინი „მილანის“ კაპიტანიცაა, იტალიის შვიდგზის ჩემპიონიც, ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელიც და A სერიაში ნათამაშები მატჩების რეკორდსმენიც.



## კრიშტიანუ რონალდუ — ციხეში

**როგორც ბრიტანელი ტელეარხი Sky News იუწყება, გაუპატიურებაში მონაწილეობის ეჭვით დააპატიმრეს ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ. პოლიციაში ის ლონდონის ერთ-ერთ ოტელში მომხდარ ინციდენტში შესაძლო მონაწილეობის გამო მიიყვანეს და დაჰკითხეს.**

რონალდუ ახლა ოცი წლისაა. 2003 წელს ლისაბონის „სპორტინგიდან“ ტრანსფერში ინგლისურმა კლუბმა 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა.

## ახლა ვის შეიყვარებს?

**ცნობილ იტალიელ სპორტსმენებთან ურთიერთობითაც გაითქვა სახელი ცნობილმა იტალიელმა მსახიობმა და მოდელმა მანუელა არკურიმ. თავის დროზე ის ხვდებოდა ფეხბურთელ ფრანჩესკო ტოტის, სამთო მოთხილამურეს ალბერტო ტომბას, მოტომრბოლელ სეტი ჟიბერნაუს.** შემდეგ კი განსაკუთრებით ფეხბურთელ ფრანჩესკო კოკოს. ასე გაგრძელდა, სანამ ფარიკაობაში ოლიმპიურ ჩემპიონს, თავისზე გაცილებით უმცროსს ალდო მონტანოს არ გადაეყარა. „ტკბილი“ ჭაბუკი მოფარიკავე ამჯობინა განუწყვეტლად მოხეტიალე ფეხბურთელს, და ეს დიდ ბედნიერებად მიაჩნდა. თუმცა ეს რომანიც ხანმოკლე გამოდგა. ახლო მეგობრების თქმით, ისინი დასცილდნენ ერთმანეთს. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ მონტანომ ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო მანუელას ხშირად



**დედაქალაქი**

# თბილისობა დღეიდან იწყება

**თბილისის** ისტორიის მუზეუმში დღეს თბილისის არქიტექტურული მაკეტების გამოფენა მოეწყობა, სადაც რესპუბლიკისა და სააკაძის მოედნების მომავალი პროექტების საკონკურსო ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

როგორც ინტერპრესნიუსს კულტურის საქალაქო სამსახურში განუცხადეს, თბილისობის ფარგლებში დღეს ასევე დაგეგმილია თბილისის აივნების ფოტოგამოფენა ისტორიის მუზეუმის მოაჯირებზე, ჟიულ ვერნის გარდაცვალებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი ბავშვთა ნახატების გამოფენა, მარი ბროსეს სახელობის ფრანგული სკოლის სპექტაკლი, რომელსაც სტუმრები ნანტიდან დაესწრებიან. ამ ღონისძიებებს კი ამერიკელი ფოტოგრაფის რობერტ კაპას მიერ გადაღებული საქართველოს ხედების გამოფენა დაასრულებს.

**ინტერპრესნიუსი**



**პატივგება**

# რა მალაა ლაშას ხმაში...

## ისე ახლოა აწ ვარსკვლავები...




**ლაშა გახარიას ბაჯაღლო ლექსები, მისი კაცობა და რაინდული სული, რაც დრო გადის, მით უფრო გვიმძაფრებს ასე უდროოდ გარდაცვლილი მეგობრის არყოფნის განცდას.**

ის რომ გამორჩეული ხელწერის ტალანტი იყო, ამის დასტურად მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში ამას წინათ გამართული ხსოვნის (უფრო ზუსტად — სიცოცხლის) საღამო — „მუზის პაუზა" გამოდგება.

პაუზა კარგა ხანია დამთავრდა, 58 წლის ლაშა გახარია, ხორციელად თითქმის ორი წელიწადია მიიცვალა, მაგრამ მისი საოცარი პოეტური ხილვების ახალი და ახალი თაყვანისმცემლები წყაროს წყალივით ეწაფებიან მგოსნის სტრიქონებს და სხვებსაც აცნობენ, — ნახეთ, ეს რა პოეტი გვყოლიაო...

სამი სრულყოფილი კრებული კი გამოვიდა მაგრამ... მცირე ტირაჟის გამო, ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის, რა განუმეორებელი სიტყვის ოსტატია ლაშა გახარია, რა ძალაა მის ხმაში. საკმარისია ერთი გონიერი მეცენატი გამოჩნდეს და სოლიდური ტირაჟით გამოსცეს პოეტის რჩეული, — სრულიად საქართველოს ჭეშმარიტად სახალხო მგოსანი შეემატება.

ღმერთი მოწყალეა. დარწმუნებული ვარ, ეს დღეც მალე დადგება.

რეჟისორმა ნუგზარ ბაგრატიონმა და მსახიობმა ელდინო საღარაძემ, მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის თეატრალური სექტორის გამგის ზორა ეგუტიას მიერ შერჩეული ნიჭიერი ბავშვების დახმარებით, მართლაც დაუვიწყარი ლიტერატურული სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს. კარგა ხანია სევდისა და სიამაყის ასეთი განცდა არა მქონია. რა თქმა უნდა, მთელი დარბაზიც ასე იყო... მაინც, რა ძალა აქვს ბედაურ ლექსს, ქართულ (მეგრულ) სიმღერას, ნორჩ დეკლამატორთა (მსახიობთა) ოსტატობას.

ლაშა გახარიას შემოქმედებაზე ჩვეული გულწრფელობით ისაუბრეს და ლექსები წაიკითხეს ლია ნაროუშვილმა, იზა ჩანტლაძემ, მარინე თექთუმანიძემ, მზია ხეთაგურმა, ჯემალ მელქაძემ, ვანო სურგულაძემ, ერეკლე საღლიანმა.

პოეტის მეუღლემ როზა ბერიკაშვილმა სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა.

ელდინო საღარაძემ მაყურებელს წარუდგინა მწერალ ჯემალ მეხრიშვილის წიგნი „დარდიმანდული დაუდევრობა", რომელიც ლაშა გახარიას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტის" დირექტორმა კახმეგ კუდავამ (გულწრფელი მადლობა მას). წიგნის რედაქტორია პოეტის თანაკურსელი, ცნობილი ჟურნალისტი გოჩა ხუნდაძე.

რა კარგია, რომ მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე და მისი დირექტორი გია შალამბერიძე ასეთ საღამოებს მართავს. მოზარდთა პატრიოტული სულის საწვრთნელად, თაობათა მემკვიდრეობითობის ალსადგენად, ამაზე უკეთესს იშვიათად მოიფიქრებს კაცი.

ჯემალ მეხრიშვილის ნააზრევი ცალკე განხილვის საგანია. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მან პირველი სერიოზული წიგნი — ორიგინალური ესსე თუ ნარკვევი მიუძღვნა ლაშა გახარიას.

მალე სხვა ლიტერატორების წიგნებსაც იხილავს მკითხველი. ლაშა გახარიას უკვდავება ხომ ეს-ესაა დაიწყო.

**სპარტაკ ქოზულია**

**გვირეკავენ, გვეკითხებიან**

**— დავიბადე წყალტუბოში, 1960 წლიდან ვცხოვრობ თბილისში, აქვე დავვოჯახდი. მამაჩემი დაიღუპა დიდ სამამულო ომში, მაქვს 40 წლის მუშაობის სტაჟი. პენსიას ვღებულობ 28 ლარს, ოჯახში ვცხოვრობთ ოთხი სული, 3 უმუშევარი ვართ. ჩემი მეუღლე პენსიონერია. მე, პირადად, ვარ ავადმყოფი, მესაჭიროება თვალის ოპერაცია. ეკონომიური მდგომარეობის გამო ოპერაცია ვერ გამიკეთებია.**

**თბილგაზს რამდენჯერმე ვთხოვე, ჩემთვის მოეცათ გაზის საფასურზე შეღავათი, მაგრამ მიპასუხეს, ჩამონათვალში თქვენი კატეგორიის პირები არ არიან მითითებულიო.**

**გთხოვთ, მიპასუხოთ, მე როგორც ომში დაღუპული წითელარმიელის შვილს, მეკუთვნის თუ არა შეღავათი?**

**ლევან ინწკირველი**

— შეკითხვაზე აღნიშნული პირობების მიხედვით შეღავათი კომუნალური გადასახადის გადახდის დროს, სამწუხაროდ, არ გეკუთვნით, ვინაიდან პენსია დანიშნული გქონიათ ასაკის გამო.

შეღავათები ბუნებრივი აირის, ასევე საოჯახო ნარჩენებისა და წყლის გადასახადის გადახდის დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლებდით თუ თქვენ ან თქვენს მეუღლეს პენსია დანიშნული გექნებოდათ I ან II ჯგუფის ინვალიდობით.

შეღავათებით ასევე სარგებლობენ ომში დაღუპულ მეომართა მხოლოდ ის შვილები, რომლებიც არიან ბავშვობიდან ინვალიდები და პენსიას იღებენ მამის სამამულო ომში დაღუპვის გამო.

რაც შეეხება თვალის ოპერაციისთვის საჭირო თანხის გადარიცხვას, აღნიშნულ საკითხზე დახმარებისთვის გირჩევთ მიმართოთ თქვენი რაიონის გამგეობას ან თბილისის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს.

**— ვცხოვრობ 12 წლის წინათ პრივატიზებულ ბინაში, ნაგვის გატანის გადასახადს 2005 წლიდან ვიხდით ყოველთვე; მაისიდან დაგვარიცხეს ძველი გადასახადი. სწორია თუ არა აღნიშნული?**

**მარიამ ოზოლაძე**

— თუ თქვენ 2005 წლამდე გქონდათ დავალიანება საოჯახო ნარჩენების გატანის გადასახადში, იგი უნდა გადაიხადოთ.

თუ ამ საკითხზე რაიმე სადავო გაქვთ, გირჩევთ მიმართოთ თქვენი რაიონის გამგეობის საბინაო სამსახურს.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

**ხსოვნა**

## თეიმურაზ (თემო) თხილავა



ძნელია გამოემშვიდობო მეგობარს, კოლეგას, ღვაწლმოსილ მშენებელს, ერის საქმიანობაში ვალმოხდილ მამულიშვილს.

დაიბადა 1925 წელს, დამსახურებული რკინიგზელის ოჯახში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1948 წ.) შრომობდა, როგორც იტყვიან, მუხლჩაუხრელად, მისი კონსტრუქციით აშენდა არა ერთი და ორი შენობა, მათ შორის ყველასგან გამორჩეული საქართველოს საავტომობილო სამინისტროს ორიგინალური კონსტრუქციის დიდებული შენობა, რომლის თამამი გადაწყვეტილებითაც იხიბლებიან არა მარტო აქაური, უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სპეციალისტები, ინჟინრები, დამპროექტებლები.

უკრაინის ქვანახშირის მრეწველობის სისტემა, „საქშახტპროექტი", „საქმშენი", „თბილზნიეპი", „კურორტპროექტი" — აი, ის სია, რომლის კოლექტივებსაც შემორჩება განსწავლული, ახლის დამკვიდრებელი სპეციალისტის წმინდა სახელი, ხოლო თბილისის უბნებში ის შენობები იღაღადებენ, რომლის შექმნისთვისაც თავისი ნიჭი, ნათელი გონება და დაუღლეველი ენერგია მოახმარა საქართველოს დამსახურებულმა მშენებელმა, არა ერთი და ორი პრემიის ლაურეატმა, მრავალი გამოგონების ავტორმა თემო თხილავამ.

იგი დააკლდა ყველას, ოჯახს, ნათესავებს, კოლექტივს.

მარადიული ხსოვნა მის სახელს.

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი;**
**საქართველოს საინჟინრო აკადემია;**
**საქართველოს მშენებელთა ფედერაცია;**
**საქართველოს არქიტექტორთა კავშირი;**
**„თბილზნიეპი";**
**კურორტპროექტი.**



ქალიშვილი ლალი, სიძე როლანდი, შვილიშვილი ქეთევანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, „საქკურორტპროექტის" მთავარი კონსტრუქტორი

თეიმურაზ თხილავა

პანაშვიდი 20, 21 X 16 სთ. გამოსვენება 22 X 14 სთ. ქ. თბილისი, ფალიაშვილის № 66, III სადარბაზო, ბინა 38.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 1948 წლის კურსდამთავრებულები სოსო ხარატიშვილი, ბოგდან ზატუაშვილი, გივი კუპრეიშვილი, გივი ხაზალია და ოთარ მერმანიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამშენებლო ფაკულტეტის 144-ე ჯგუფის კურსდამთავრებული

თემურ სამსონის ძე თხილავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბიძა დათო, ბიცოლა ნელი, ბიძაშვილები ნათია, ნინო გვარიძიშვილები, სიძე მიშიკო ეძგვერაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

გიორგი გვარიძიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე კომპანიის სტრატეგიისა და ანალიზის ცენტრის ხელმძღვანელის სალომე შელიას მამა

ხონძი შელია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ იმედაძე, გიორგი ხაზარაძე, ელგუჯა აბადოვსკი, ლელა, დათო, გიორგი ჭანტურიშვილები თანაუგრძნობენ თამაზ ჟორდანიას დედის

ვენერას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ს/ს „საქტელეფონმშენის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სატრანსპორტო განყოფილების უფროსი

ჯემალ კასრაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იუწყება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომელს თეა კასრაძეს გარდაეცვალა მამა

ჯემალ კასრაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ალექსანდრე ურდულაშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**ცოტაც გავიცინოთ...**

**ბიოლოგიის** გაკვეთილზე მასწავლებელი ცდას ატარებს:

ჩასვამს ჭიას სპირტიან ქილაში. იგი კვდება.

ჩასვამს ჭიას ნიკოტინიან ქილაში. იგი კვდება.



ჩასვამს ჭიას უმი კვერცხით სავსე ქილაში. ჭია დაცურავს, იზრდება და ვითარდება.

— აბა, ბავშვებო, რა დასკვნის გაკეთება შეიძლება აქედან? — კითხულობს მასწავლებელი.

— რა დასკვნის გაკეთება შეიძლება და, — წამოხტება მიხო, — თუ არ მოვწევთ და დავლევთ, კვერცხებში ჭიები გაგვიჩნდება!

* * *

— **თუ** შეიძლება, კილოგრამი რძე ამიწონეთ!

— რძეს კილოგრამობით არ ვყიდით.

— მაშინ, თუ შეიძლება 70 სანტიმეტრი რძე მომეცით.

* * *

— **ეი**, — ყვირის ფანჯრიდან გაბრაზებული მიხო, რომელიც ხედავს, რომ ვიღაც ონავარი მის ალუბალზე ამძვრალა. — ახლავე ჩამოდი ხიდან და გაქცევა არც იფიქრო: ხომ იცი, ადრე თუ გვიან მაინც გიცნობ.

— რა თქმა უნდა, მამი!

* * *

**ახალწვეულმა** ზურგჩანთა დაკარგა.

— ხუთ დღეს ჰაუპტვახტში გაატარებ! ამასთანავე, ზურგჩანთის ღირებულებაც დაგიკავდება ხელფასიდან.

— ახლა კი მესმის, რატომ ამჯობინებენ კაპიტნები გემთან ერთად ჩაძირვას.

* * *

**სრული** კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ადამი და ევა ჩინელები არ იყვნენ.

ასე რომ ყოფილიყო, ისინი ვაშლთან ერთად გველსაც შეჭამდნენ.

**გამოიცა**

# ტაძრისკენ მიმავალ გზაზე




**გამოვიდა ჟურნალ „პუბლიცისტის" პირველი ნომერი. იგი მრავალფეროვანი, თემატურად კარგად მომზადებული გამოცემაა.**

მთავარი თემა „პოსტრევოლუციური საქართველოა". წინა რიგზეა წამოწეული პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოპოლიტიკა. როგორც ჩანს, მომავალში მთავარი ყურადღება დაეთმობა პუბლიცისტურ მასალებს, ინტერვიუს, რეკლამას, ფოტორეპორტაჟს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალში დაბეჭდილ ფოტომასალებში რეალური სინამდვილე ერთობ ორიგინალურად არის დანახული. ასევე ითქმის ჟურნალისტური დახვეწილობით, ახლებული სტილითა და ფორმით გამორჩეულ წერილებზე.

მკითხველები შეჩვეული ვართ გამომცემელთა აშკარა პრეტენზიულ ტონს, რომ მათი გაზეთი თუ ჟურნალი უთუოდ ჯობნის ყველა ადრინდელ გამოცემას და მომავალში ღირსეულ ადგილს დაიკავებს პრესის თვალუწვდენელ სივრცეში. ამგვარ ტონს ვერც „პუბლიცისტი" ასცდა, თუმცა სხვათაგან განსხვავებით, აღნიშნული გამოცემა მართლაც აშკარად გამორჩეულია და, ეტყობა, საამისოდ „ძალიც შესწევს ქადილისა".

ჯერ დასაწყისია და, ვნახოთ. გვჯერა ახალი ჟურნალის პროფესიონალიზმისა. ეს გარემოება კი უთუოდ ტაძართან მიიყვანს მის მშვენიერ კოლექტივს.

ჟურნალის მთავარ რედაქტორსა და გამომცემელს პაატა ციკოლიას გულწრფელად ვულოცავ საქმის დასაწყისშივე მოპოვებულ სერიოზულ წარმატებას და ვუსურვებ ასევე განეგრძოს — მხნედ, ვაჟკაცურად. ღირსებით ეტარებინოს ქართული პუბლიცისტიკის სიმართლის დროშა.

**თამაზ ანთაძე**

**აი, კაი ყმა!**

# სტიპენდიით გამოცემული გაზეთი




**„ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს მთელი თავისი ძალღონით. თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობლიური ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის!" — ვაჟას ეს სიტყვები აქვს წამძღვანებული ერთ მცირეტირაჟიან გაზეთს, რომელიც ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გამომიგზავნეს დუშეთიდან და, რომელიც ვაჟა ფშაველას გარდაცვალებიდან 90-ე წლისთავს ეძღვნება და ვაჟასავე სიტყვები ჰქვია სახელად — „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე".**

ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური არქივის მთავარი სპეციალისტი მარინე სხირტლაძე, აწ განსვენებული პოეტი დავით მჭედლური, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი რამინ რამიშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი და სხვა ავტორები საინტერესოდ გვიყვებიან ნაცნობ თუ აქამდე უცნობ ცალკეულ მომენტებს გენიალური პოეტის ცხოვრებიდან და ფრიად საყურადღებოა თანამედროვე მკითხველისთვის.

გაზეთის ფურცლებზე საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ნაწყვეტებს თვით ვაჟას ნაწარმოებებიდან და მათ შეფასებებს.

„ვაჟა ფშაველა, როგორც შოთა რუსთაველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფილოსოფიური მიდრეკილების პოეტია, მისი შთაგონება მუდამ დაწყვილებულია მძლავრ პოეტურ აზრებთან და თვითოეულ სახეს დიდი განზოგადების უნარი გააჩნია. ვაჟა ფშაველამ სამშობლოს სიყვარული არა მარტო იქადაგა მხატვრული სიტყვის მნიშვნელობით, არამედ ამ გრძნობის ფილოსოფიური გააზრებაც მოახერხა და მისი მხატვრული დასაბუთებაც შესძლო!" — ამბობს ერთგან სიმონ ჩიქოვანი და ამ სიტყვების ჭეშმარიტება ხაზგასმულია ამ პატარა გაზეთში, მაგრამ განსაკუთრებულად გამახარა გაზეთის ბოლო გვერდზე მინაწერმა, თითქოსდა, უბრალო ფრაზამ — **„გაზეთი გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატის გიორგი გოგოჭურის სტიპენდიით!"**

აფერუმ, გიორგი!

**ზაურ ფიფია**

**ლარის კურსი**

**21 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1404 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7970 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1384 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0627 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3912 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3991 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5797 ლარი. |

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო სამსახური — 022;**
**გენერალური პროკურატურა — 99-74-10;**
**შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;**
**საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;**
**ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;**
**იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;**
**ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;**
**ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;**
**შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;**
**კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;**
**თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;**
**საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;**
**თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური — 37-78-70;**
**შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;**
**ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.**
**კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.**

**კრიმინალი**

## ოჯახის უფროსი ჩაცხრილეს

**ქართულ-ოსური** კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მსხვერპლით დასრულდა. ფრონეს ხეობაში, სოფელ დვანში ჯერჯერობით დაუდგენელი ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ ჩუხრუკიძეების ოჯახს.

თავდამსხმელებმა საცხოვრებელ სახლში კარიდან შეაღწიეს. ოჯახის წევრებს უბრძანეს დაეჩოქათ, სწორედ ამ დროს ოჯახის უფროსმა, 50 წლის გივი ჩუხრუკიძემ მეზობლების საშველად მოსახმობად ფანჯრიდან გადახტომა სცადა, მას სახლის გარეთ მყოფმა შეიარაღებულმა ნიღბიანებმა ცეცხლი გაუხსნეს და ავტომატის ჯერით დაცხრილეს. გივი ჩუხრუკიძე ქარელის საავადმყოფოში ჩაყვანამდე გზაში გარდაიცვალა.

თავდამსხმელთა ვინაობა ამ დრომდე დაუდგენელია. დაზარალებულთა თქმით, თავდამსხმელები ოსური აქცენტით საუბრობდნენ. შეიარაღებული ნიღბიანები სოფელ დვანის მახლობლად მიიმალნენ.

## არც კრიმინალური ავტორიტეტი დაინდეს

**ქუთაისში** გუშინწინ გვიან ღამით, საკუთარი სახლის წინ კრიმინალური ავტორიტეტი, 45 წლის ზაალ ცქიფურიშვილი მოკლეს. იგი სამართალდამცველებმა ალმაშენებლის ქუჩაზე, საკუთარი სახლის წინ მის კუთვნილ ავტომანქანა „ნივაში" გარდაცვლილი იპოვეს. მას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება.

ზაალ ცქიფურიშვილი წარმოშობით ტყიბულელია, იგი ამ რაიონში ყველაზე გავლენიან კრიმინალურ ავტორიტეტად ითვლებოდა.

როგორც ინტერპრესნიუსს იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ლევან კახიანმა განუცხადა, გარდაცვლილი რამდენჯერმეა ნასამართლევი, მათ შორის ყაჩაღობის მუხლით.

**ინტერპრესნიუსი**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.